ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 14 ნოემბერი, 2018 №270 (7815) ფასი: 60 თეთრი

საქართველოს მოქალაქეს საბერძნეთში 290 წელი მიუსაჯეს

გვ.7

„ოცნება“ თვითლიკვიდაციის რეჟიმში გადავიდა“

გვ.2

ხათუნა ლაგაზიძე: „ალბათ ივანიშვილმა გადაწყვიტა, რომ თუ „ოცნების“ გემი ჩაიძირება, ყველა ერთად უნდა ჩაიძიროს“

ჩხუბი თბილისის საკრებულოში

გვ.5

ლევან ხაბეიშვილი: „კალაძე თბილისელებს „ინტერის“ ფეხბურთელებივით გვიყურებს“

„დევი ჭანკოტაძეს განცხადებების გაკეთებას ნაცები აიძულებენ“

ტრისტან წითელაშვილი: „ხალხმა ბიძინა ივანიშვილს ყვითელი ბარათი აჩვენა“

გვ.3

„თემირლანის საქმე 10%-თაც რომ გაიხსნას, ივანიშვილს ქვეყნიდან გაქცევა მოუწევს“

მალხაზ მაჩალიკაშვილი:

„მთელი ხელისუფლება ორ შვილმოკლულ მამას გვებრძვის. ამასობაში რუსეთმა საქართველოს ტერიტორიების დიდი ნაწილი შეჭამა“

გვ.2

გვ.4

ვახტანგ ხმალაძე: „მთავარი საფრთხე რუსეთის უშიშროების ქართველი აგენტურაა“

როგორი უნდა იყოს ლუსტრაციის კანონი

გიორგი ვაშაძე: „ჩვენ ძალიან დიდი უპირატესობა გვაქვს“

„არჩევნების გაყალბების მცდელობას ტექნოლოგიურ მექანიზმებს დავუპირისპირებთ“

გვ.4

ეკონომიკა

გვ.6

ანზორ ქოქოლაძე: „ბიზნესს ჯერ არ მოუშუშებია ის ჭრილობები, რომლებიც ნაციონალურმა მოძრაობამ მიაყენა“

ფინანსთა მინისტრი: „უმუშევრობა ისტორიულ მინიმუმზეა“

ISSN 1987-9385

6 „ლუსტრაციის კანონი პოლიტიკურ სპექტრსაც გაასუფთავებს და ფსიქიკასაც შეცვლის“

7 ქარელში დამწვარ სახლში 50 წლის მამაკაცის გვამი იპოვეს

5 „ანტიირანული სანქციები აისახება საქართველოზე, აზერბაიჯანსა და სომხეთზე“

7 კლიენტმა ტაქსი გაიტაცა

„თემირლანის საქმე 10%-თაც რომ გაიხსნას, ივანიშვილს ქვეყნიდან გაქცევა მოუნევს“

მალხაზ მაჩალიკაშვილი: „მთელი ხელისუფლება ორ შვილმოკლულ მამას გვებრძვის. ამასობაში რუსეთმა საქართველოს ტერიტორიების დიდი ნაწილი შეჭამა“

შორენა მარსაგიშვილი

რუსთაველის გამზირზე მიმდინარე შვილმოკლული მამების აქცია ხელისუფლებას სერიოზულად აღიზიანებს. ზაზა სარალიძისა და მალხაზ მაჩალიკაშვილის წინააღმდეგ ათასი სიბინძურე ითქვა. „ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა გია გაჩეჩილაძემ კი მთლად საოცრება განაცხადა. დეპუტატის მტკიცებით, შვილმოკლული მამების აქციას რუსეთი გამოიყენებს.

ვინ თამაშობს რუსეთის თამაშს საქართველოში, რას შეეწირა თემირლან მაჩალიკაშვილი, რატომ ეშინია ხელისუფლებას ამ საქმის გამოძიების? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ მალხაზ მაჩალიკაშვილი ესაუბრება.

მალხაზ მაჩალიკაშვილი:

– როგორ შეიძლება, ჩვენი აქცია რუსეთმა რამენაირად გამოიყენოს. ჩვენი მთავარი მიზანი მკვლელების დასჯაა. ჩვენ საკუთარი შვილების ხსოვნის პატივისცემის ნიშნად არანაირად არ დავუშვებთ აქციაზე დესტაბილიზაციას.

ხელისუფლების წარმომადგენლებს უბრალოდ უნდა შერცხვეთ, როცა ჩვენზე ასეთ რამეებს ამბობენ. რუსეთთან კავშირს სხვას რომ აბრალებენ, მათი მთავრობა რუსეთიდან ჩამოყვანილებით არ არის სავსე? ეკონომიკის მინისტრი მოსკოვიდან ჩამოიყვანეს, შს მინისტრიც რუსეთიდან ჩამოვიდა.

ამ მთავრობის უფროსი, ბიძინა ივანიშვილი, თავის 7 მილიარდთან ერთად რუსეთიდან არ არის ჩამოსული? რუსებს მისთვის მთელი ფული არ გამოუტანებიათ – 5 მილიარდი გაუყინეს და 2 მილიარდი მისცეს სამოძრაოდ.

თავად არიან რუსეთთან კავშირში და ხელს ჩვენკენ იშვერენ. არეულობაც მათ ინტერესებში შედის და ყველაფერს აკეთებენ, რომ მეორე ტურის წინ აქ რაღაც დაიწყოს. მინდა, ჩემმა ქართველებმა კარგად დაიმახსოვრონ, მე და ზაზა სარალიძე ყოველგვარი არეულობის წინააღმდეგი ვართ.

მთელი სახელმწიფო ორ შვილმოკლულ მამას გვებრძვის. ამასობაში რუსეთმა საქართველოს ტერიტორიების დიდი ნაწილი შეჭამა.

– მხედველობაში საოკუპაციო ხაზის გადმოწევა გაქვთ?

– ეგ მაქვს მხედველობაში, მთელი საქართველო მიაქვთ და ხელისუფლება კიდევ ჩვენ წინააღმდეგ აწყობს პროვოკაციებს.

– რუსების მიერ საოკუპაციო ხაზის გადმოწევას არც გია გაჩეჩილაძე და არც სხვა მეოცნებეები არ თვლიან პროვოკაციად. ამაზე რას ფიქრობთ?

– ამას პროვოკაციად რატომ ჩათვლიან. რასაც ახლა რუსეთი აკეთებს, ეს ყველაფერი „ოცნების“ გეგმაში შედის. თავად არიან მათთან შეკრულები და ხელს არ უშლიან საქართველოს ტერიტორიების მითვისებაში.



– მოდით, თქვენი შვილის საქმეზეც გვითხარით რამე. ახალი ხომ არაფერია?

– არაფერი იცვლება. ყველაფერი ისევ ისეა.

– თქვენ ერთხელ უკვე შეგხვდნენ საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები. სხვა ორგანიზაციები თუ დაინტერესდნენ დათუნა სარალიძისა და თემირლან მაჩალიკაშვილის საქმეებით?

– ორგანიზაციები დაინტერესდნენ თუ არა, ვერ გეტყვით, საერთაშორისო თანამეგობრობა კი საქმის კურსშია. საქართველოში აკრედიტებული საელჩოებიც ინფორმირებული არიან ჩვენს საქმეებზე.

სამაგიეროდ, ხელისუფლებაა გაჩერებული და მათგან რეაგირება არც იქნება. ისინი სიმართლის დადგენით არ არიან დაინტერესებული, მეტსაც გეტყვით, ამათ კბილებით უჭირავთ თემირლანის საქმე.

– რას გულისხმობთ?

– ეს საქმე არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაიხსნას.

– რატომ არ უნდა გაიხსნას, ვის აფარებენ ხელს?

– აქ მხოლოდ ხელის დაფარებაში არ არის საქმე. სიმართლე თუ დადგინდა, ჩათვალეთ, რომ ივანიშვილის თამადობით მთელ ხელისუფლებას საქართველოდან გასაქცევად ექნება საქმე.

ეს ისეთი სკანდალური საქმეა, რომ მისი 10%-ის გამჟღავნებაც კი დიდ საერთაშორისო სკანდალს გამოიწვევს.

– ეს საიდუმლო იცოდა თქვენმა შვილმა და ამიტომ მოკლეს?

– თემირლანმა არაფერი იცოდა და ის საქმესთან არაფერ შუაშია.

– აბა, რატომ შემოვარდა თქვენს სახლში სპეცრაზმი?

– არ იქნებოდა თემირლანი, იქნებოდა სხვა. თემირლანი მოკლეს იმ სკანდალის გადასაფარად, რომლის დამალვასაც ასე ცდილობენ. თბილისსა და პანკისში ჩატარებული სპეცოპერაციები ძალიან დიდი საიდუმლოს გადასაფარად ჩატარდა.

– რა საიდუმლოზეა საუბარი?

– ყველა დეტალის თქმა არ შეიძლება, მაგრამ ბევრს საუბრობენ ერაყისა და სირიის ბანკებიდან მოპარული მილიარდების შემოდინებაზე. ეს არ უნდა გამჟღავნებულიყო და ამისთვის სჭირდებოდათ არეულობა.

– რა არეულობა სჭირდებოდათ?

– გათვლა ჰქონდათ, რომ ამ სპეცოპერაციის შემდეგ ხეობაში არეულობა დაიწყებოდა. მე რომ არ ვიყო, პანკისში ცუდი ამბები დაიწყებოდა. როგორც ამათ უჭირავთ კბილებით თემირლანის საქმე, ასევე კბილებით მიჭირავს მე ხეობა.

ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ იქ ვითარება არ დაიძაბოს. დღეს მთელი სუსი პანკისშია შემოყრილი.

– ეს არჩევნებს უკავშირდება?

– არა მარტო არჩევნებს. მათ უფრო სხვა მიზნები აქვთ. პრეზიდენტს არანაირი უფლებები არა აქვს და ხელისუფლებას არ აინტერესებს, მოიგებს თუ წააგებს მათი კანდიდატი. ამის მიუხედავად, ხალხს მაინც აიძულებენ, რომ ხმა სალომე ზურაბიშვილს მისცენ.

– ეს ხეობაში დაძაბულობას ხომ არ გამოიწვევს?

– გამორიცხულია. ამას არ დავუშვებ, ისევე, როგორც არ დავუშვებ დაძაბულობას რუსთაველზე. არადა, პროვოკაცია ორივეგან არის მოსალოდნელი. პარლამენტის წინ კარვებია გაშლილი და არ გამოვრიცხავ, რომ შიგ იარაღი ჩაგვიდონ. სახალხოდ ვაცხადებ, რომ ჩვენ იქ არანაირი აკრძალული ნივთების შეტანას არ ვაპირებთ. სამართალდამცავები კი წინასწარ ამბობენ ამას. რამე თუ არ აქვთ ჩაფიქრებული, საიდან იციან, რომ იქ აკრძალული ნივთები იქნება?!

როგორც აქამდე ვინარჩუნებდით სიმშვიდეს, ასევე გავაგრძელებთ მომავალში. ჩვენ სიმართლისთვის იმიტომ ვიბრძვით, რომ მშვიდობა გვინდა. მშვიდობა კი სამართლის გარეშე არ არსებობს.

„ოცნება“ თვითლიკვიდაციის რეჟიმში გადავიდა“

ხათუნა ლაგაზიძე: „ალბათ ივანიშვილმა გადაწყვიტა, რომ თუ „ოცნების“ გემი ჩაიძირება, ყველა ერთად უნდა ჩაიძიროს“

იაგო ნაცვლიშვილი

შვილმოკლული მამების აქციასთან დაკავშირებით ნაძვის ხის კონტექსტში კახა კალაძემ გააკეთა განცხადება, რომ აქციის მონაწილეებმა დეკემბერში კარვები სხვა ადგილას უნდა გაშალონ, ხოლო გიორგი გახარიამ პროცესების განვითარების შემდგომ ვითარების დესტაბილიზაციის რისკზე ისაუბრა, მას შემდეგ, რაც აქციაზე ექსცესები განვითარდა.

ხომ არ იქონია ამან გავლენა „ქართული ოცნების“ საკმაოდ მზარდი რეიტინგის მქონე ფიგურებზე უარყოფითად და რა პოლიტიკურ თამაშს თამაშობს „ქართული ოცნება“? – ამ თემაზე „ახალი თაობა“ პოლიტოლოგ ხათუნა ლაგაზიძეს ესაუბრა:

– ორივე ლიდერს საკმაოდ მზარდი რეიტინგი აქვს „ქართულ ოცნებაში“. ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს განცხადებები მათ რეიტინგზე უარყოფითად იმოქმედებს?

– არსებულ სიტუაციაში, როდესაც ხელისუფლება რეალური რისკის წინაშე დგას, რომ პრეზიდენტის პოსტი დაკარგოს და ჰყავს ძალიან ძლიერი მოწინააღმდეგე, მასზე გაცილებით გამოცდილი მოწინააღმდეგე როგორც პიარში, ისე ხელისუფლების შეცვლის საკითხში, ასეთ შემთხვევაში „ოცნებას“ სათადარიგო გეგმები შემუშავებული უნდა ჰქონდეს, მით უმეტეს, რომ თავად „ოცნება“ ამტკიცებს, რომ ნაციონალები მხოლოდ პრეზიდენტის პოსტით არ დაკმაყოფილდებიან. ყველა გონიერი ხელისუფლება ამ შემთხვევაში სათადარიგო ვარიანტებს შეიმუშავებდა.

ერთ-ერთი სათადარიგო ვარიანტი რეიტინგული ფიგურების შენარჩუნება-შემუშავებაა. სალომე ზურაბიშვილის იმიჯს არ გადააყოლონ, თუ ვინმე ჰყავთ რეიტინგული გუნდში. საპრეზიდენტო არჩევნების მერე ლოგიკურად მოდის საპარლამენტო არჩევნები. თუ ვაშაძემ გაიმარჯვა, ძალიან მაღალი ალბათობით, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების პირისპირ დავდგებით. ამ შემთხვევაში „ქართული ოცნება“ რომ ვერ გავა, ეს თქვენც კარგად იცით, იმიტომ, რომ აღარც სათანადო რეიტინგი ექნება და აღარც გავლენა. დაიწყება ის პროცესი, როგორიც დაიწყო 2003 წელს შევარდნაძის გარშემო. მაშინ ნაციონალურმა მოძრაობამ შევარდნაძის გარემოცვის ჩამოშლა დაიწყო.

თუ ვაშაძე გაიმარჯვებს, „ქართული ოცნების“ საკონსტიტუციო უმრავლესობის დაშლის პროცესი უკანმოუხედავად დაიწყება. ჰაერში რჩება „ოცნების“ საკმაოდ მნიშვნელოვანი ხმები, რომელსაც დღეს ობიექტურად იღებს მმართველი პარტია. არ ვსაუბრობ ადმინისტრაციულ რესურსზე.

– ანუ ფიქრობთ, რომ თუ სალომე ზურაბიშვილი წააგებს არჩევნებს, „ქართული ოცნების“ დაშლის პროცესი დაიწყება?

– აუცილებლად დაიწყება, ოღონდ ეს იმ შემთხვევაშიც მოხდება, თუ სალომე ზურაბიშვილი მოიგებს. სახელისუფლებო პარტიას 2020 წლამდე ერთიანობის შენარჩუნება გაუჭირდება.

– მთლიანად წავლენ გუნდიდან და „ოცნება“ მთლიანად დაიშლება თუ ნაწილი წავა?

– რაღაცა ნაწილი დარჩება, მაგრამ ფრაქციებად დაშლის პროცესზე საუბარი ჯერ კიდევ შარშან დაიწყო და, ივანიშვილი პარტიაში როდესაც დაბრუნდა, თქვა, ამიტომ დავბრუნდიო. ამ პროცესს არჩევნების შემდგომ ვერაფერი ვეღარ შეაჩერებს.

თქვენს პირველ კითხვას რომ დავუბრუნდე, „ოცნებამ“ ჰარაკირის რეჟიმში გააგრძელა არსებობა. იმის ნაცვლად, რომ ლიდერების ნაწილი გადაინახოს და 2%-იანი ქალის პრეზიდენტად გაყვანას საკუთარი რეიტინგი სრულად არ შესწიროს და არ დაინგრიოს აქა-იქ შემორჩენილი იმიჯი, ამის სანაცვლოდ საპირისპიროს აკეთებს.

„ოცნება“ გარდაუვალი დაშლის წინაშე დგას. თუ წააგო სალომემ, დიდი ალბათობით, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების საკითხიც დადგება. რა გუნდით გადის „ოცნება“ მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე? ამაზე ფიქრობს ვინმე? ეს არის მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და აუცილებელი. ის, რომ ამ ფორმატითა და სახეებით ვერ გავა, ცალსახაა. ამ დროს „ოცნების“ ამომრჩეველი „უპატრონოდ“ დარჩება. სხვა პოლიტიკური ძალა ჯერ-ჯერობით არ ჩანს, ბევრი ნაციონალებს ხმას ვერ მისცემს და ბევრი ხმა იქნება „ქუჩაში“, ანუ პატრონის მაძიებელი ხმა იქნება ბევრი. „ოცნება“ რეიტინგული ფიგურების შენარჩუნებაზე უნდა ფიქრობდეს, რომლებიც გარეთ დარჩენილი ხმების შემოკრებას შეძლებენ და რაღაც ფორმატით მაინც იქნებიან პარლამენტში წარმოდგენილი, ან გაიზიარებს „მოქალაქეთა კავშირის“ ბედს. თუმცა, იქაც ცალკეულმა ფიგურებმა მონახეს თავიანთი ადგილი პოლიტიკურ სივრცეში.

– იყო საუბარი, რომ შესაძლოა კალაძე თავისი პოლიტიკური გუნდის

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ევროკავშირის ელჩი საქართველოში: „საკმაოდ ნეგატიურად განვითარებულ წინასაარჩევნო კამპანიას უარყოფითად ვუყურებთ“

ევროკავშირის ელჩი კარლ ჰარცელი საქართველოში არსებულ წინასაარჩევნო გარემოს ნეგატიურად აფასებს. ელჩის თქმით, მიუღებელია სიძულვილის ენა და მუქარები და აუცილებელია, რომ მუქარის შემცველ განცხადებებზე გამოძიება დროულად წარიმართოს.

– უარყოფითად ვუყურებთ საკმაოდ ნეგატიურად განვითარებულ წინასაარჩევნო კამპანიას. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ესეც არჩევანია, არჩევანი კანდიდატებისა, რომლებიც კამპანიაში მონაწილეობენ. მიუღებელია სიძულვილის ენა და ის მუქარები, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებიდან და სხვადასხვა კანდიდატის მიმართ ისმის. ჩვენ იმედი გვაქვს, გამოძიება, რომელიც უკვე დაწყებულია მუქარასთან და სიძულვილის ენასთან დაკავშირებით, წარმატებით დასრულდება და უწყება ამას გამოიძიებს, – განაცხადა კარლ ჰარცელმა.

ირაკლი ზარქუა: „ჩვენ გვაქვს შეცდომები, მაგრამ დანაშაული ქართველი ხალხის წინაშე არ ჩაგვიდენია“

– ჩვენ გვაქვს შეცდომები, მაგრამ დანაშაული ქართველი ხალხის წინაშე არ ჩაგვიდენია, – ამის შესახებ თბილისის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუამ განაცხადა.

დეპუტატის თქმით, 2016 წლის არჩევნებიც და მანამდეც ნაციონალებმა წააგეს იმიტომ, რომ უნამუსო და სიცრუეზე აგებული ავანტიურული კამპანია აწარმოეს. მისივე თქმით, ისინი დღესაც ანალოგიური ყალბი განცხადება-დემარშებით ცდილობენ იმავეს, როდესაც აცხადებენ, რომ პენსია 400 ლარი გახდება.

– უნიჭო სპექტაკლებისთვის არ უნდა გამოიყენოთ ტრიბუნა. მოიყვანეთ თქვენი რომან გოცირიძე, რომელიც ურცხვად ცრუობს, როდესაც ამბობს, რომ პენსია 400 ლარი გახდება. როდესაც ჩავეძიეთ ხსენებულს, აღმოჩნდა, რომ ის გათვლილი ყოფილა თითქოს და 2020-2030 წლებისთვის, როდესაც ჩვენი პროგრამით ამავე პერიოდისთვის გაცილებით მეტად გაუმჯობესდება მოსახლეობის და მათ შორის პენსიონერების მდგომარეობა. დაპირებებშიც კი უნიჭოები და ცრუპენტელები ხართ, – განაცხადა ირაკლი ზარქუამ.

მისივე თქმით, „ქართული ოცნება“ არის პასუხისმგებლიანი მთავრობა და ის შედეგი, რომელიც დაფიქსირდა წლევანდელ საპრეზიდენტო არჩევნებზე, გამომდინარეობს არა იქიდან, რომ ხალხს ნაციონალური მოძრაობის დაპირებები მოეწონა, არამედ განპირობებულია ხელისუფლების მიერ დაშვებული ცალკეული შეცდომებით.

– შესაბამისად, ხალხმაც გვაგრძნობინა არსებული ვითარების მიმართ საკუთარი დამოკიდებულება, რომელსაც ჩვენი გუნდი აუცილებლად გამოასწორებს და თანაც ძალიან მალე, – განაცხადა ირაკლი ზარქუამ.

დეპუტატი პატრიარქთან გრიგოლ ვაშაძის ვიზიტსაც შეეხო. მისი თქმით, შეურაცხმყოფელია „შტაბკვარწირას“ განცხადებები უწმინდესთან შეხვედრის შემდგომ, როდესაც მან კათოლიკოსის კონკრეტული გზავნილი დაამახინჯა და საზოგადოებას ყირამალა წარუდგინა.

– საიდანაც მოიყვანეთ, იქ გაუშვით „კა-გე-ბე“-ს ნომენკლატურა. ის შკლიაროვიც ვერაფერს გახდება. ვერც რევოლუციას მოაწყობთ და ვერც პუტინის რუსეთის გეგმას აასრულებთ, რომელსაც ასე გულმოდგინედ მიჰყვებით, – განაცხადა საკრებულოს წევრმა.

„დევი ჭანკოტაძეს განცხადებების გაკეთებას ნაცები აიძულებენ“

ტრისტან წითელაშვილი: „ხალხმა ბიძინა ივანიშვილს ყვითელი ბარათი აჩვენა“

შორენა მარსაგიშვილი

არის თუ არა სამშობლოს მოღალატე, რა საიდუმლო ინფორმაცია გაანდო გენერალმა დევი ჭანკოტაძემ, რატომ იქცა „ოცნება“ ნაცების თავშესაფრად, რატომ გადაწყვიტა სალომე ზურაბიშვილისთვის მხარის დაჭერა? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ სამხედრო ექსპერტი ტრისტან წითელაშვილი ესაუბრება.

– სამხედროების ერთი ნაწილი ღიად აცხადებს, რომ ისინი მხარს არ დაუჭერენ სალომე ზურაბიშვილს. თქვენ მათგან განსხვავებული პოზიცია დააფიქსირეთ. ზურაბიშვილის მიმართ დაფიქსირებულ თქვენს პოზიციას დიდი ხმაური მოჰყვა. რატომ გადაწყვიტეთ ამ კანდიდატის მხარდაჭერა?

– მოდი, ცოტა შორიდან დავიწყებ და ასე აგიხსნით, რატომ გადავწყვიტე ამ ქალის მხარდაჭერა. მინდა იცოდეთ, რომ საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში მონაწილეობა არ მიმიღია.

საქართველოს მოსახლეობის 90% დამეთანხმება იმაში, რომ „ქართულმა ოცნებამ“ მათ იმედები გაუცრუა. ისიც უნდა ვთქვათ, თუ რა იყო იმედის გაცრუების მიზეზი. ამ მიზეზებზე არაერთ მედიასაშუალებასთან, მათ შორის „ახალ თაობასთანაც“ ვსაუბრობდი ამ წლების განმავლობაში.

ბიძინა ივანიშვილის მიერ ყურით მოთრეული კოაბიტაცია ჩვენი ქვეყნისთვის დამღუპველი იყო. მერე პორტირებულმა ნაცებმა კარგად მოიკიდეს ფეხი „ოცნებაში“. მათ ნამდვილი პატრიოტები ნელ-ნელა ჩამოაცილეს პარტიასა და მთავრობას. ახლა ხელისუფლებას სრულად პორტირებულები აკონტროლებენ.

დღეს თანამდებობებზე იმ ხალხს ვხედავთ, რომლებიც იმ 9 წლის განმავლობაში წამებებში, ქონების წართმევასა და დარბევებში მონაწილეობდნენ. ძალოვანი სტრუქტურები პორტირებულებით არის სავსე. არაერთხელ დავასახელე მათი გვარები, მაგრამ ისინი სამსახურებიდან არავინ გაათავისუფლა.

ამ დამნაშავეების საქმეები გამოძიებულიც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვინ გამოიძიებდა? პროკურატურას, მირზა სუბელიანის თამადობით, ნაცები აკონტროლებდნენ.

„ქართულმა ოცნებამ“ უარი თქვა სამართლიანობის აღდგენაზე, ცოტა ხნის წინ კი სარალიძის საქმეზე გამოუსწორებელი დანაშაული ჩაიდინა.

– გამოუსწორებელ დანაშაულში რას გულისხმობთ?

– პროკურატურამ საბოტაჟი მოუწყო სასამართლოს და საშუალება არ მისცა, 16 წლის მოზარდის მკვლელი დაედგინა. კიდევ უამრავი გადაცდომაა „ოცნების“ ანგარიშზე.

– ამდენ გადაცდომას თუ ხედავთ, რატომღა უჭერთ ზურაბიშვილს მხარს? პირველი ტურის მსგავსად, ახლაც სახლში დარჩენილიყავით.

– ახლა სახლში დარჩენა აღარ გამოდის. მეორე ტურის წინ საქმეში აქტიურად ჩაერთო ძალადობა, რუსეთის მიერ მოვლენილი აგენტურა. კარგად გამიგეთ, მხოლოდ დღევანდელი ცხოვრებით არ მიცხოვრია, მე მაქვს წარსული და ვფიქრობ მომავალზე.

– ნაციონალები თქვენ რუსეთის სპეცსამსახურებთან კავშირს გდებენ ბრალად. ამაზე რას იტყვით?

– ცოტაც მაცალეთ და აქამდეც მივალ. ნაციონალების პრეზიდენტობის კანდიდატი პირდაპირ კაგებეს კადრია. საბჭოთა კავშირის დროს მას ისეთი თანამდებობა ეკავა, რომელიც კაგებეს ჰყავდა აყვანილი.

სალომე ზურაბიშვილს იმიტომ კი არ ვუჭერ მხარს, რომ დიდებული ადამიანია, არამედ იმიტომ, რომ მე მხოლოდ ორი არჩევანი დამიტოვეს. ერთ მხარეს არიან სისხლიანი 9 წლის ავტორები, მეორე მხარეს კი ადამიანი, რომელიც არაფრის გამკეთებელი არ არის.

ამ ქალსაც ბევრი რამე შეეშალა, რაღაცები არ უნდა ეთქვა. ბევრი რამე არც აქვს ნათქვამი და ისე დაბრალეს. ის აფხაზეთზე ვერ იტყოდა, განგრენაა. იმიტომ ვერ იტყოდა, რომ ქართულად კარგად ვერ მეტყველებს. მე, როგორც სამხედრო სპეციალისტს, შემიძლია, ზუსტად გითხრათ, რა თქვა მან.

– ეს განცხადება მან ირაკლი ოქრუაშვილთან შეხვედრაზე გააკეთა. თქვენც იყავით ამ შეხვედრაზე?

– მათ შეხვედრაზე რა მინდოდა, უბრალოდ, ვიცი, რატომაც თქვა აფხაზეთზე განგრენა. განგრენა ადამიანის სხეულისთვის არის ძალიან მტკივნეული. აფხაზეთიც ამ კონტექსტში ახსენა.

– და ირაკლი ოქრუაშვილმა ვერ გაიგო, რას გულისხმობდა?

– ქართულად კარგად ვერ მეტყველებს სალომე და, ეტყობა, ოქრუაშვილმა კარგად ვერ გაიგო. სალომეს არც იმის თქმა უნდოდა, რომ ომი საქართველომ დაიწყო, მაგრამ ასე გამოუვიდა. ესეც მისი ქართულის ბრალია.

– ერთხელ შეიძლება მართლა არასწორად გამოთქვა აზრი, მაგრამ გამუდმებით ამას იმეორებს.

– ეშლება, მას იმის თქმა უნდა მარტო, რომ ომის პროვოცირება მოახდინა სააკაშვილმა.

– რა მნიშვნელობა აქვს, იმას იტყვი, ომი საქართველომ დაიწყო თუ სააკაშვილმა მოახდინა ომის პროვოცირება, სააკაშვილი იმ დროს საქართველოს პრეზიდენტი იყო.

– სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტად და უმაღლეს მთავარსარდლად ვერ ჩაითვლება. მან პრეზიდენტის პოსტი არჩევნების გაყალბების შედეგად მიიტაცა. ის არ იყო ლეგიტიმური პრეზიდენტი და მის ნამოქმედარზე საქართველოს პასუხს ვერავინ მოსთხოვს.

– ზემოთ თქვენ მითხარით, არჩევანი არ დამიტოვეს და ერთ მხარეს არის სისხლიანი 9 წლის შემოქმედი ძალა და მეორე მხარეს სალომე ზურაბიშვილია. სალომე ზურაბიშვილს ის ძალა უჭერს მხარს, სადაც პორტირებული ნაცები აკონტროლებენ ყველაფერს. რა მნიშვნელობა აქვს, ნაცს დაუჭერთ მხარს თუ პორტირებულ ნაცს?

– გიდასტურებთ, რომ „ოცნება“ პორტირებული ნაცებით არის სავსე და არ გეგონოთ, რომ ამ მეორე ტურით დამთავრდება საქმე. წინ ძალიან სერიოზული ბრძოლები გველოდება. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ „ოცნება“ ამ პორტირებულებისგან გაიწმინდოს.

თავში თქვენ სხვა სამხედროების პოზიციაზეც მკითხეთ. ამ სამხედროებს სათავეში უდგას გენერალი დევი ჭანკოტაძე. დევი ჩემი მეგობარი და ძალიან კარგი ადამიანია.

– დევი ჭანკოტაძე თქვენი მეგობარია?

– დევი ჩემი ძმაკაცია. 1992 წლიდან ჩვენ ერთად ვიბრძვით. ძალიან კარგად მახსოვს ბოლო შეხვედრა. კარგად მახსოვს ჩვენი ბოლო საუბარი. ჩვენ ერთი ერთზე ვისაუბრეთ და მან მითხრა, ტრისტან, სხვა გზა არა მაქვს, ამათთან უნდა ვიყოო.

– როდის შედგა თქვენი შეხვედრა?

– დაახლოებით 4 თვის წინ.

– ანუ ახლაც აგრძელებთ მეგობრობას.

– რა თქმა უნდა. ბოლო განცხადება რომ გააკეთა, მე მას დავურეკე და ვკითხე, დევი, ეს რატომ თქვი-მეთქი. მან ასე მიპასუხა, ხომ გითხარი, სხვა გზა არა მაქვსო.

– თქვენ გინდათ თქვათ, რომ ნაციონალებმა გენერალი დევი ჭანკოტაძე აიძულეს, ეს განცხადება გაეკეთებინა?

– დიახ, ნაცებმა აიძულეს დევი, რომ ასეთი რამ ეთქვა. მე ისიც ვიცი, რითაც აიძულეს. კარგად ვიცი, რა მოხდა 2009 წელს, როცა გენერალური შტაბის უფროსი იყო. ყველაფერი დეტალებში ვიცი.

– რა იცით ასეთი?

– ბევრი რამე ვიცი, მაგრამ არ ვიტყვი, იმიტომ, რომ დევის პატივს ვცემ. მას დიდი გზა აქვს გავლილი, კარგი მხარეებიც აქვს და ცუდიც, მაგრამ, რადგან ამ ქვეყანას ემსახურა, მის ცუდ მხარეებზე ხმას არ ამოვიღებ. ისე, ცუდზე ყველამ პასუხი უნდა აგოს.

– თქვენზეც ბევრ ცუდს ამბობენ და უნდა აგოთ პასუხი?

– ცუდზე მეც უნდა ვაგო პასუხი და სხვამაც. ახლა სულ ჩემი გვარი ისმის, მთელი ნაცმოძრაობა სამშობლოს მოღალატეს მეძახის.

– კარგია, ეს თემა რომ თქვენ წამოსწიეთ, მე ზემოთ ვერ გკითხეთ ღალატზე. მართლა უღალატეთ სამშობლოს?

– სამშობლოსთვის როგორ უნდა მეღალატა. ეს არის სულელური ბრალდება. სისხლის სამართლის კოდექსში სამშობლოს ღალატის მუხლი საერთოდ არ არსებობს. შესაბამისად, მე არ ვარ სამშობლოს ღალატის მუხლით გასამართლებული.

– რა მუხლით ხართ გასამართლებული?

– რა მუხლით და ნარკოტიკების შენახვა-მოხმარების. ეს იყო მიხეილ სააკაშვილის დაკვეთა. რატომ დაუკვეთა ეს სააკაშვილმა, ამას სხვა ინტერვიუში გეტყვით.

ახლა ისევ სამხედროებზე ვისაუბროთ, ძალიან დიდ პატივს ვცემ იმ ბიჭებს, რომლებიც უკრაინაში იბრძვიან. მიხეილ სააკაშვილის ზონდერებზე იმავეს ვერ ვიტყვი. ისინი უკრაინაში ფულის საშოვნელად იყვნენ. მათთან საერთო არაფერი მაქვს. დღეს ეს ხალხი გამოდის და ამბობს, ჩვენ დავიკავებთ ხელში იარაღს და მოვახდენთ რევოლუციასო.

ამ ზონდერებს მივმართავ და ვეტყვი, რომ არანაირი რევოლუციის მოწყობის თავი არა აქვთ. თუ მაგის თავი მართლა აქვთ, მაშინ ჩამო-

ვიდნენ ჩემთან, გვერდში დამიდგნენ და წავიდეთ რუს ოკუპანტებთან საომრად.

საქართველოში 1991-1992 წლების მოვლენები აღარ განმეორდება. მაშინაც რუსებმა დააჭმევინეს ქართველებს ერთმანეთი.

კიდევ ერთხელ მივმართავ ამ ბიჭებს, მათ მიმართ დიდი სიმპათიები არ მაქვს, მაგრამ ვთხოვ, არ შეასრულონ რუსების დავალება, ომი თუ უნდათ, ოკუპანტებს ვეომოთ. ყოველდღე სწევენ საოკუპაციო ხაზს და ღამისაა, სახლებში მოგვადგნენ.

აფხაზეთი და სამაჩაბლო უკვე წაგვართვეს, ქვემო ქართლსა და ჯავახეთს მაინც ნუღარ ავარევინებთ. რევოლუციის მოწყობის შესახებ გაკეთებული განცხადებები მტრის წისქვილზე ასხამს წყალს.

– ხელისუფლება არ უსხამს მტერს წისქვილზე წყალს, როცა ამბობენ, რომ ომი საქართველომ დაიწყო?

– ხაზგასმით და გასაგებად ვამბობ, რომ 2008 წელს ომი საქართველოს არ დაუწყია. ხელისუფლების რომელიმე წევრი ამას თუ ამბობს, ძალიან დიდ შეცდომას უშვებს. ასეთი განცხადება იმ ბიჭების შეურაცხყოფაა, რომლებიც იქ სამშობლოს იცავდნენ.

სულ სხვა საქმეა, თუ რატომ არაფერი გააკეთა სააკაშვილმა ამ პროვოკაციის თავიდან ასაცილებლად. იქ ვიყავი და ვიცი, რომ ამის თავიდან აცილება შეიძლებოდა.

– 2008 წლის 6 აგვისტოს სალომე ზურაბიშვილი სააკაშვილს თავად მოუწოდებდა, რუსებს დაბომბვაზე პასუხი გაეცეო. ამაზე რას იტყვით? იმით გაამართლებთ, რომ ქალია და ომის საკითხებში ვერ ერკვევა?

– ქალი რა შუაშია. ეს განცხადება იყო სალომეს დიდი შეცდომა. მან ემოციურად თქვა სათქმელი. მიშამ მის მოწოდებაზე ხომ არ დაიწყო ომი. ომზე წამოგება იყო შეცდომა.

მიშას რუსებისთვის პასუხი კი არ უნდა გაეცა, არამედ მათთან მოლაპარაკებები უნდა დაეწყო. დრო გაეწელა და, თუ ომი იყო, ბარემ კარგად მოვმზადებულიყავით.

– სამაგიეროდ, ახლა აღარავინ რეაგირებს. რუსს ბაბაიას ეძახიან და, ამ მოფერების მიუხედავად, ლამისაა, ავტობანამდე გადმოსწიონ საოკუპაციო ხაზი.

– მე რუსისთვის ბაბაია არასდროს დამიძახებია. ბაბაიას ვინც ეძახის, ყველამ იცის. ან ის რა უბედურება იყო, „გირჩი“ ატოცში რომ ჩავიდა და ოკუპანტს რაღაც ორგანო აჩვენა. თუ მართლა გაქვს ეგ ორგანო, კი არ უნდა ჩაიხადო, არამედ უნდა შეებრძოლო.

თავშიც გითხარით, რომ „ოცნებამ“ ხალხს იმედი გაუცრუა, მაგრამ მოპირდაპირე მხარეს ძალადობაა.

– აქეთ მხარეს კი პორტირებულები არიან და, როგორ ფიქრობთ, იმავეს არ გაიმეორებენ, რასაც ნაციონალობის დროს აკეთებდნენ?

– ეს არ უნდა დავუშვათ. ივანიშვილმა ხალხისგან უკვე მიიღო ყვითელი ბარათი. ის აუცილებლად გაწმენდს თავის გუნდს.

– რომ არ გაწმინდოს?

– მაშინ ხალხი მას თავის გუნდთან ერთად წითელ ბარათს აჩვენებს. მანამდე კი ნაციონალები უნდა გავუშვათ პოლიტიკურ მოუსავლეთში.

გიორგი ვაშაძე: „ჩვენ ძალიან დიდი უპირატესობა გვაქვს“

„არჩევნების გაყალბების მცდელობას ტექნოლოგიურ მექანიზმებს დავუპირისპირებთ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, გრიგოლ ვაშაძის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი გიორგი ვაშაძე პასუხობს.

— ბატონო გიორგი, როგორ აფასებთ ქვეყანაში არსებულ სიტუაციას? დესტაბილიზაციის საფრთხე არსებობს?

— მიზანმიმართულად მიდის ხელისუფლების მხრიდან დაძაბულობაზე საუბარი. არაფერი დაძაბული სიტუაცია არ არის. ხელისუფლების მხრიდან დაძაბულობაზე საუბარი მხოლოდ ტყუილია. უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი „ქართული ოცნება“, რომელიც დამარცხებისთვის განწირულია, ათას მონაჩმახს იგონებს.

არ გაუვათ! მათი განაჩენი გამოტანილია. ქვეყანა აუცილებლად დაიწყებს ახალ განვითარებას. დღეს რაიმე ფასი აქვს კობახიძის, ივანიშვილის ან კალაძის სიტყვას? ჩვეულებრივი მატყუარები არიან. ეს დამთავრდება მეორე ტურში.

— ანუ სიტუაცია დაძაბული არ არის?

— თუ დაძაბულობაში იმას მივიჩნევთ, რომ არანაირი შანსი არ აქვს სალომე ზურაბიშვილს და ამიტომ ცდილობენ პანიკა ატეხონ და ხელოვნური მექანიზმებით, გაყალბებით და დაშინებით რაღაც გააკეთონ, ერთადერთი ეს არის და მეტი არაფერი არ არის.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ხელისუფლებას აწყობს დღეს დაძაბულობა?

— დიახ, ასეა. სხვა გზა არა აქვს, ფაქტობრივად, დამარცხდა ამ არჩევნებში და მეორე ტურში რეიტინგების კვლევა ალბათ მათაც აქვთ. ჩვენ ძალიან დიდი უპირატესობა გვაქვს. დღეს სწორედ რომ მათ აწყობთ დესტაბილიზაციაზე საუბარი.

მე მახსოვს ყველა შს მინისტრის მწყობრში გაკეთებული განცხადებები დესტაბილიზაციასთან დაკავშირებით. რა მივიღეთ? გამოვლინდა, რომ იყო ტყუილი. ესენი არიან ჩვეულებრივი ცრუპენტელები. ამ ტყუილების უკვე აღარავის სჯერა. ეს ადამიანები სამოქალაქო ომით გვაშინებენ, რაზე ვსაუბრობთ საერთოდ. ეს ხელისუფლება არ არის, ეს არის ვიწრო ბანდიტური ჯგუფი.

— ანუ ვერ გაიმარჯვებს ზურაბიშვილი?

— დამთავრებულია. სალომე ზურაბიშვილი ვერ გაიმარჯვებს. გავიმარჯვებთ ჩვენ. მე მგონი, ისინი აპირებენ არჩევნების გაყალბების კუთხით ქუჩაში გამოსვლას. არაფრის მაქნისები არ არიან, ისე გაიქცევიან დამარცხების შემდეგ, რომ უკან არ მოიხედავენ. ჩვეულებრივი მშიშარა მაიმუნები არიან, რომლებიც ტყუილის მეტს არაფერს ამბობენ. მათ სიტყვას ფასი არ აქვს.

— ქუჩაში კარვებთან ერთად დუღილიც მატულობს. ეს ოპოზიციის ინტერესებში შედის?

— ეს ერთი და იგივე ზღაპრები და ერთი და იგივე აბსურდია ხელისუფლების მხრიდან. თემა ძალიან მარტივია, სამოქალაქო სექტორი მივიდა იქ და მათ დადგეს ეს კარვები. ყველას აქვს კარვის დადგმის უფლება და ვერ შეუზღუდავს ამას ვერანაირად ხელისუფლება, რაც უნდა ეცადოს. კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ და შიდა სახელმწიფოებრივი კანონების საწინააღმდეგოდ ისინი ცდილობენ ამის ხელის შეშლას უკვე ორი თვეა.

— უშიშროების გააქტიურება ზე საუბრობდით რეგიონებში. ამ კუთხით რა ხდება?

— ძალიან ნიშანდობლივი იყო, როდესაც გოგაშვილი გამოიჭირეს აჭარის უზენაესი საბჭოს შენობაში. სამეგრელოში გახარიაა, იმერეთში — გომელაური, ეს მათი სტანდარტია. მოკლედ, გადანაწილებული აქვთ რეგიონები და ფიქრობენ, რომ ამით რამეს გააკეთებენ.

— რისი მცდელობა მიდის, გაყალბების თუ მოსახლეობის დაშინების?

— დაშინება, გაყალბება, ყველა მექანიზმს იყენებენ. 50 ლარად პირადობებს ქირაობენ ხალხისგან, წარმოიდგინეთ, იმ დონეზე არიან მისული. თუმცა ამას უკვე არანაირი აზრი არა აქვს. ჩვენ დიდი უპირატესობით გავიმარჯვებთ.

— ექსპერტები სხვაგვარად ფიქრობენ. ნაცმოძრაობა და „ქართული ოცნება“ აღმოჩნდნენ მეორე ტურში ერთმანეთის პირისპირ და ეს ხელისუფლებისთვის მომგებიანია, რადგან ის 9 წელი ისევ გადაწონის.

— არანაირად არ დადგა „ქართული ოცნება“ ნაციონალური მოძრაობის პირისპირ. პირისპირ არიან გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენელი გრიგოლ ვაშაძე და მეორე მხრივ სალომე ზურაბიშვილი. სალომე ზურაბიშვილი რომ მიუღებელია ქართველი საზოგადოებისთვის, ეს კარგად ჩანდა პირველ ტურშიც და ამას დავასრულებთ მეორე ტურში საბოლოოდ.

— სალომე ზურაბიშვილი ახსენეთ და რას იტყვით მის განცხადებაზე, რომ მას ყოფილი სამხედროები აშანტაჟებენ და მის ოჯახს ემუქრებიან?

— ეს რაღაც ხელოვნური განცხადებებია. უნდათ, რომ რაღაცით მაინც გამოჩნდეს ეს ქალი და რაღაც აბსურდზე საუბრობენ. არც სახელი და გვარი უთქვამთ, თუ ვინ არიან. ჩვენ ყველა შემთხვევაში ვითხოვთ ხოლმე გამოძიებას, გამოძიებას, რომელმაც, სამწუხაროდ, ფასი დაკარგა ამ ქვეყანაში.

— რამდენად მწიფდება სიტუაცია ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებისთვის?

— ჯერ საპრეზიდენტო არჩევნები გვაქვს ჩასატარებელი და დანარჩენს შემდეგ ვნახავთ.

— როდის დაინიშნება მეორე ტური?

— ამ დროს მაქსიმალურად გაწელავენ. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, სამუშაო დღეს ფიქრობენ არჩევნების დანიშვნას, რომ მანიპულაციის მეტი საშუალება ჰქონდეთ, მაგრამ მათ ესეც არ უშველით.

— შესაძლებელია, სამუშაო დღეს დაინიშნოს არჩევნების მეორე ტური?

— ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განცხადებებიდან არც ეს არის გამორიცხული. ესეც მცდელობაა, რომ რამენაირად რაღაც შედეგზე გავიდნენ.

— რა შედეგზე?

— რომ რაც შეიძლება ნაკლები ადამიანი მივიდეს არჩევნებზე, განსაკუთრებით საზღვარგარეთ.

— აქვს ხელისუფლებას დღეს გაყალბების სერიოზული მექანიზმი?

— ცდილობს, რომ ჰქონდეს ეს მექანიზმები, მაგრამ ჩვენ კიდევ ახალ ტექნოლოგიურ მექანიზმებს ვამუშავებთ იმისთვის, რომ აღვკვეთოთ ეს გაყალბების მცდელობები. ასე რომ, ხელისუფლებას ძალიან გაუჭირდება.

„ოცნება“ თვითლიკვიდაციის რეჟიმში გადავიდა“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

შექმნით არის დაინტერესებული. კალაძემ პირველი ტურის შემდეგ თქვა, რომ ზურაბიშვილისთვის არ უნდა დაეჭირათ მხარი, ხმები გამოვიდა დაპირისპირებაზე და სხვა ენით დაიწყო კალაძემ საუბარი. ხომ არ გგონიათ, რომ რეიტინგული ფიგურების განეიტრალება ივანიშვილის განზრახვაა?

— ამწუთას „ქართული ოცნება“ ჰარაკირის რეჟიმშია. ალბათ ივანიშვილმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ თუ „ქართული ოცნების“ გემი ჩაიძირება, ყველა ერთად უნდა ჩაიძიროს. ფიქრობენ იმაზე, რომ პოლიტიკურ ველს ნაციონალებს უსუფთავებენ?! უნდა ჰქონდეთ ბე და ცე გეგმა და ნაწილმა მაინც მოახერხოს გადარჩენა და ყველა სალომეს ფარად არ დაუდგეს.

თვითონ კალაძეს პოლიტიკური ალღო კი აქვს, რომ თავისი ფიგურისთვის დამაზიანებელი განცხადებები არ გაეკეთებინა. რეალურად ის ერთადერთია, ვინც ამ 6 წლის განმავლობაში გადარჩა „ქართული ოცნებიდან“. ამ ალღოს გარეშე ვერ გადარჩებოდა. როგორც ჩანს, ეს განცხადებები მთლად მისი თავისუფალი ნების გამოხატულება არ უნდა იყოს. გახარიას რაც

ის, რომ კონსენსუსური ფიგურა დათო უსუფაშვილი არ აირჩიეს პრეზიდენტობის კანდიდატად, რომელიც სალომესავით ტოქსიკური არ იქნებოდა, „ოცნების“ სიბეცეზე მეტყველებს

შეეხება, ისეთ პოზიციაზეა, რომ ვალდებულია, ასეთი განცხადებები აკეთოს.

დღეს ვუყურებ, რომ „ოცნებას“ ასეთი სტრატეგია აქვს, რომ ყველა პოლიტიკური ფიგურა, რომლებსაც რესურსი ჰქონდათ, რაშიც პოპულარობასა და რეიტინგს ვგულისხმობ, პოლიტიკურ გვამებად აქციონ. შევარდნაძე გუნდს არ ავალებდა, გინდა თუ არა, თვითმკვლელობის რეჟიმში გადადიო. უბრალოდ, მის გვერდით დარჩენილმა უმრავლესობამ სიტუაციას ალღო ვერ აუღო. „ოცნების“ ფიგურებს პოლიტიკური გადარჩენის სურვილი კი აქვთ, მაგრამ ამის საშუალება არ ეძლევათ. რა ურჩევნია „ოცნების“ ლიდერშიპს, რომ მარტო დარჩნენ ნაციონალების პირისპირ? არ სჭირდებათ პარტია, რომელიც მომავალ პარლამენტში ნაციონალების ალტერნატივას თუ ვერ შექმნის, მათგან განსხვავებული ხმა მაინც იქნება? მხოლოდ ნაცმოძრაობა და სხვა არავინ, ამ რეალობას ქმნის დღეს „ქართული ოცნება“. ხოცავენ საკუთარ პოლიტიკურ გუნდში შემორჩენილ პოლიტიკურ ფიგურებს.

— გვახსოვს, რომ სხვებიც დახოცეს პოლიტიკურად, ყველა შუაში მყოფი პოლიტიკური ძალა.

— დიახ, ზუსტად, ჩამოიშორეს სხვები. როგორი პოლიტიკური სიბეცეც იყო მხოლოდ „ქართული ოცნების“ შესვლა პარლამენტში, ეს ამ სიტუაციამაც გამოაჩინა. იმავე უსუფაშვილის, „ფორუმის“ რამდენიმე ფიგურის, ალასანიას კოალიციაში ყოფნის დროს კოალიცია ასეთ შეცდომებს ხომ არ უშვებდა?! არ დააშვებინებდა ეს ხალხი. თავისთავად ის, რომ კონსენსუსური ფიგურა დათო უსუფაშვილი არ აირჩიეს პრეზიდენტობის კანდიდატად, რომელიც სალომესავით ტოქსიკური არ იქნებოდა, „ოცნების“ სიბეცეზე მეტყველებს. ახლა ის მაინც გააკეთონ, რომ შემორჩენილი ვინც ჰყავთ, იმათ მაინც ნუ კლავენ.

მრჩება შთაბეჭდილება, რომ მიზანმიმართულად ხდება ამ პოლიტიკური ფიგურების პოლიტიკური კვდომის პროცესი. თუ ის განცხადებები გინდა, რაც გაკეთდა, ისეთს მაინც გააკეთებინე, ვისაც ვეღარაფერს უშველი. მაგალითად, კობახიძეს იმიჯურად აღარაფერი უშველის. ამ დროს თანამდებობრივად ეკუთვნის ასეთი განცხადებები. რა შუაშია ქალაქის მერი ასეთ განცხადებებთან. ასე რომ, რაციონალიზმის ვერანაირ ნიშანს ვერ ვხედავ.

თუ სალომემ გაიმარჯვა, იმიჯურად აბსოლუტურად დანგრეული გუნდით „ოცნება“ 2020 წლამდე მიღოღებას როგორ აპირებს? ამ კითხვას ვინმე სვამს?! თუ საკუთარი ლიდერების წინააღმდეგ ბოღმასთან გვაქვს საქმე, რომ ტოქსიკური სალომე პირველ ტურში ვერ გაიყვანეს და ამით უხდიან სამაგიეროს? „ქართული ოცნება“ თვითლიკვიდაციის რეჟიმშია.

— ახსენეთ, რომ თუ ვაშაძე გაიმარჯვებს, ვადამდელი არჩევნები იქნება. რაზე დაყრდნობით ამბობთ ამას, როცა პრეზიდენტს ამის უფლებამოსილება არ აქვს?

— ძალიან რთულია მაგ კითხვაზე პასუხის გაცემა, რადგან კონსტიტუციურად და პროცედურულად რთულად წარმოსადგენია. ნაცმოძრაობისა და „ევროპული საქართველოს“ რაციონალური ნაწილიც მხარს უჭერს არჩევნების გზას, მაგრამ სააკაშვილის დაბრუნების ალბათობა ხომ არსებობს. ამ შემთხვევაში პროცესების პროგნოზირება შეუძლებელია. ორივე სცენარი რეალურია.

თუ სააკაშვილი არ ჩამოვიდა, მაშინაც შეიძლება პროცესების ამგვარად განვითარება. სააკაშვილი არ არის ის ფიგურა, რომელიც დროს დაელოდება და შეეცდება, ნაღები მოხადოს შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას. როგორ და რა ფორმით, ამის პროგნოზირება ძალიან რთულია. თუმცა, როგორც გითხარით, სალომეს პრეზიდენტობის შემთხვევაშიც „ოცნების“ დაშლა და რაღაც ახალი ფორმატების შემუშავება გარდაუვალია. „ოცნებაში“ რაციონალური ფიგურები საკუთარი პოლიტიკური მომავლის გადასარჩენად ახალ ფორმატებს მოძებნიან.

ვახტანგ ხმალაძე: „მთავარი საფრთხე რუსეთის უშიშროების ქართველი აგენტურაა“

როგორი უნდა იყოს ლუსტრაციის კანონი

ნათია ხურცილავა

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე, კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ხმალაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ლუსტრაციის შესახებ კანონთან დაკავშირებით საუბრობს.

— ბატონო ვახტანგ, კვლავ აქტუალურია ლუსტრაციის შესახებ კანონის მიღება. ეს პარლამენტი ამ კანონს მიიღებს?

— ლუსტრაციის შესახებ კანონი პირველად პოსტსოციალისტურმა ქვეყნებმა მიიღეს. ზოგიერთი სახელმწიფო იმ ადამიანების სიებს აქვეყნებდა, რომლებიც აგენტები იყვნენ და ფარულად თანამშრომლობდნენ უშიშროების ორგანოებთან. მაგალითად, გდრ-ში გამოქვეყნდა უშიშროების ორგანოებთან მოთანამშრომლე ადამიანების სიები და ამას დიდი ტრაგედიები მოჰყვა. იყო თვითმკვლელობის ფაქტები, ოჯახის წევრების ტრაგედიები და ა.შ.

იყო ვარიანტი, როდესაც კანონმდებლობით ამ პირებს მაღალი თანამდებობების დაკავება ეკრძალებოდათ. აკრძალვა იყო გარკვეული წლები, მგონი, 12 წელი, შემდეგ ჩეხეთში ეს ვადა კიდევ უფრო გაიზარდა.

— შეიძლება, ამ ადამიანების სიები არ გამოქვეყნდეს, მაგრამ, ხომ შეიძლება, ეს ადამიანები მაღალ სახელმწიფო თანამდებობებს მოარიდონ?

— ყველაზე გავრცელებული ვარიანტი ასეთია — პირები, რომლებიც ფარულად თანამშრომლობდნენ უსაფრთხოების ორგანოებთან, მაღალ სახელმწიფო თანამდებობას ვერ იკავებენ სახელმწიფოში.

ფარული თანამშრომლობა ყველა დროს ითვლებოდა და ითვლება დიდ დანაშაულად და ძალიან ცუდ საქმედ, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის უსაფრთხოების ორგანოებთან თანამშრომლობა. თუმცა, ამ ადამიანების სიების გამოქვეყნება მაინც არ მგონია, მიზანშეწონილი იყოს, რადგან ამას უცხოეთში ბევრი ტრაგედია მოჰყვა.

— არქივი განადგურებულია თუ არსებობს?

— ფარული თანამშრომლობის შესახებ ინფორმაცია იყო თავად ამ უშიშროების ორგანოებში. იმათზე, რომლებიც საბჭოთა კავშირის უშიშროების აგენტები იყვნენ, ინფორმაცია არ ჰქონდა საქართველოს უშიშროებას.

ამდენად, ნულის ტოლია იმის შანსი, რომ რუსეთის უშიშროების ორგანოებმა, რომლებიც საბჭოთა კავშირის უფლებამონაცვლეები გახდნენ, ჩვენ მოგვცეს ინფორმაცია საქართველოში თავიანთი აგენტების შესახებ.

გარდა ამისა, იყვნენ ე.წ. ფარული აგენტები, რომელთა შესახებ ინფორმაცია არსად ინახებოდა, არც არქივში და არც არსად. უშიშროების თანამშრომლებს ჰყავდათ თავიანთი პირადი აგენტები, რომელთა ანაზღაურებაც დაფარული ფონდებიდან ხდებოდა, რაც არ საჯაროვდებოდა. ვინ იყო ეს პირი, არავინ იცოდა, უშიშროებაში ამ პირის მხოლოდ მეტსახელი იყო ცნობილი. მისი ვინაობა მხოლოდ ერთმა კაცმა იცოდა, ვინც გადაიბირა ეს პირი, იმ ერთ კაცს კი ეს ინფორმაცია საფლავში მიჰქონდა.

ამდენად, ძალიან მცირეა იმის ალბათობა, რომ ეს პირები ცოცხლები იყვნენ ან, თუ ცოცხლები არიან, დღეს გამოვიდნენ და თქვან, ვინ იყვნენ მათი პირადი აგენტები.

ჩემი აზრით, დღეს ჩვენი სახელმწიფოსთვის საფრთხეს წარმოადგენენ ის ადამიანები, რომლებიც ადრე თანამშრომლობდნენ და ახლაც აგრძელებენ თანამშრომლობას სხვა სახელმწიფოსა და პირველ რიგში, რუსეთის უშიშროების სამსახურებთან. ასეთი თანამშრომლობა სისხლის სამართლის დანაშაულია და კანონმდებლობით ისჯება.

„ანტიირანული სანქციები აისახება საქართველოზე, აზერბაიჯანსა და სომხეთზე“

რას ამბობენ ამერიკელი ექსპერტები

მარიამ მჭედლიშვილი

ამერიკელი ანალიტიკოსების დასკვნით, ფართომასშტაბიანი ანტიირანული სანქციები გაურკვევლობას ქმნის ისლამური სახელმწიფოს მეზობელ ქვეყნებში – საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში.

ნოემბრიდან აშშ-მ აამოქმედა სანქციების მორიგი რაუნდი ირანის წინააღმდეგ. მანამდე თბილისში, ბაქოსა და ერევანში იმყოფებოდა აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი უსაფრთხოების საკითხებში ჯონ ბოლტონი. მისი საჯარო განცხადებები ირანს ზოგადად შეეხო. არაოფიციალური ინფორმაციით კი, ამერიკელმა მაღალჩინოსანმა მოითხოვა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისაგან ირანული ნავთობის კონტრაბანდის აღმოფხვრა, საქართველოში კი – ირანელების მიგრაციის შეზღუდვა.

ამერიკელი ექსპერტების სიტყვებით, ბოლ-

ტონმა ითხოვა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მხარდაჭერა ირანის იზოლაციის საქმეში. ეს ქვეყნები, თურქეთისაგან განსხვავებით, არ არიან ამოღებული ირანთან დაკავშირებული სასანქციო სიიდან.

ყველაზე რთულ მდგომარეობაში, მათი შეფასებით, აზერბაიჯანია. ბაქო ვეღარ შეძლებს თეირანთან ერთად დაგეგმილი კასპიის ზღვის საბადოების დამუშავებას. აზერბაიჯანი თვითონ არის ნედლი ნავთობისა და გაზის ექსპორტიორი, მაგრამ ის გარკვეული რაოდენობით ირანული გაზის იმპორტსაც ახდენდა.

მძიმე მდგომარეობაში ვარდება სომხეთიც, რომელსაც გაზის ნაწილი ირანიდან შეაქვს. სომხეთი უფრო მეტად ხდება დამოკიდებული რუსეთზე, რომლის კომპანია „გაზპრომს“ ეკუთვნის სომხეთის გაზგამანაწილებელი ქსელის საგრძნობი სეგმენტი.

ავტორების დასკვნით, ანტიირანული სანქციები განსაკუთრებულად დამაზარალებელი არ იქნება საქართველოსთვის.

სანქციები არ შეეხება შახ-დენიზის გაზის პროექტს.

ამ დღეებში ვაშინგტონმა თეირანი ნავთობის ტანკერების გადამალვაში დაადანაშაულა. ამერიკელების თქმით, მოხდა ავტომატური საიდენტიფიკაციო სისტემის გამორთვა. ამ სისტემით ტანკერების ადგილსამყოფელს თანამგზავრიდან ადგენენ. ეს ქმედებები შეფასდა დიდ საფრთხედ.

ირანი ჯერჯერობით არ გამოსულა 2015 წელს გაფორმებული ბირთვული შეთანხმებიდან, რომელიც რამდენიმე თვის წინ დატოვა აშშ-მ.

ვაშინგტონი ახლაც აცხადებს, რომ ირანი არღვევს ამ შეთანხმებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

ამასთან, ჯონ ბოლტონი აცხადებს, რომ აშშ-ის გეგმებში არ შედის ირანის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის განხორციელება.

ამერიკულ და ევროკავშირის სანქციებშია მოქცეულია ასევე რუსეთი. ლიეტუვის სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტმა საქმიანი ურთიერთობა რუსეთის კომპანიებთან შპიონაჟს გაუთანაბრა. ქვეყნის პარლამენტის წევრებმა მოითხოვეს რუსეთიდან სასუქის, ხორბლისა და წიწიბურას შესყიდვის აკრძალვა. საგარეო უწყებამ გააფრთხილა ადგილობრივი ბიზნესმენები, არ იკონტაქტონ იმ რუსულ კომპანიებთან, რომელთა წინააღმდეგაც ევროკავშირის შეზღუდვები მოქმედებს.

საქართველო, მართალია, რუსულ გაზზე დამოკიდებული აღარ არის, მაგრამ რუსული საქონელი, პირველადი მოხმარების საგნები დიდი რაოდენობით შემოდის. ტურისტების ნაკადი რუსეთიდან შემოდგომაზეც შემოედინება. ბალტიისპირეთისგან განსხვავებით, საქართველოს ოფიციალური სტრუქტურები რუსეთის საწინააღმდეგო განცხადებებს მაქსიმალურად ერიდებიან.

ჩხუბი თბილისის საკრებულოში

ლევან ხაბეიშვილი: „კალაძე თბილისელებს „ინტერის“ ფეხბურთელებივით გვიყურებს“

შორენა მარსაგიშვილი

დედაქალაქის საკრებულო გუშინ, 13 ნოემბერს, „სან სიროს“ დაემსგავსა. საკრებულოს წევრები კარგა ხანს გაჰყვიროდნენ „მილანსა“ და „ინტერს“. ამ არეულობის სულისჩამდგმელი კი ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი და შეთავსებით „ბარსელონის“ ფანი ლევან ხაბეიშვილი გახლდათ.

რატომ მიიტანა საკრებულოში „ინტერის“ მაისური, რა ელოდება კახა კალაძეს? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ლევან ხაბეიშვილი ესაუბრება.

ლევან ხაბეიშვილი:

– ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც კახა კალაძე თბილისის მერი გახდა. ამ ერთი წლის განმავლობაში გამუდმებით ვიძახით, რომ არ შეიძლება, უფასო სასადილოებში ერთი ადამიანის გამოკვება 1.18 თეთრიდან 1.16 თეთრამდე ჩამოიყვანო. ვეუბნებოდით, რომ არ შეიძლება ბიუროკრატიული ხარჯების გაზრდა და არაა საჭირო მილიონების გადაყრა მილანურ საახალწლო განათებებში. ვურჩევდით, ტაქსისტებს ხარკს ნუ დაადებთ და მანქანების გადაღებვას ნუ აიძულებთ. ვეუბნებოდით, მილიონებს ნუ იხდით სარესტორნო მომსახურებაში და ვურჩევდით, თბილისელებისთვის მიეხედათ.

ჩვენს რჩევებზე ასეთი პასუხი იყო – ნაციონალები იტყუებიან, ხალხი მათ საკადრის პასუხს გასცემს და ა.შ. ხალხისგან პასუხი მართლა იყო, ოღონდ ეს პასუხი თბილისელებმა კალაძეს გასცეს. მან საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში დედაქალაქი პირწმინდად წააგო.

მილანის „ინტერის“ ფორმა ერთი რამის გამო მივიტანე საკრებულოში და ერთი რამის გამო ვთხოვე, „ოცნების“ წევრებს ის კალაძისთვის გადაეცათ. დედაქალაქის მერს ადამიანური არ ესმის, ამიტომ გადავწყვიტე, მასთან საფეხბურთო ენაზე დამემყარებინა კომუნიკაცია – შევუთვალე, რომ თბილისის მოქალაქეებს „ინტერის“ ფეხბურთელებივით ნუ გვიყურებს.

კალაძე მილანის „მილანში“ თამაშობდა. „მილანი“ და „ინტერი“ ერთმანეთის დაუძინებელი მტრები არიან, ასევე ვურჩიე, რომ თბილისელებს ნუ გვემატავება.

– „ინტერის“ მაისურის დატვირთვას კალაძე მაშინვე მიხვდებოდა, მაგრამ საკრებულოს უმრავლესობა აშკარად დაიბნა.

– გარდა იმისა, რომ პოლიტიკის აზრზე არ არიან, არც ფეხბურთის გაგებაში არიან და, შესაბამისად, არც საფეხბურთო ენა ესმით. არადა, ავუხსენი, რისთვისაც მივუტანე ეს მაისური.

– ეს მაისური თავად რატომ არ ჩაიცვით, უფრო ეფექტური არ იქნებოდა?

– „ბარსელონის“ ქომაგი ვერაფრით ჩავიცვამდი „ინტერის“ ფორმას და ამიტომაც გავუგზავნე კალაძეს.

– ერთ-ერთი მეოცნებე ცდილობდა, თქვენთვის ჩაეცმია ეს მაისური.

– ეგ ილია ჯიშკარიანია. ფეხბურთის გაგებაში არ არის, ძველი მოჭიდავეა. სიაში იმიტომ ჰყავთ, რომ იზონდეროს. ხან ბოთლებს ისვრის, ხან იგინება. მისგან სხვას არაფერს ველოდი. ბოლოს ეს მაისური მაინც გავუგზავნე კალაძეს.

– კალაძეს „ბარსელონაში“ რომ ეთამაშა, „რეალის“ მაისურს მიიტანდით საკრებულოში?

– არა! „რეალის“ მაისურს ხელს როგორ მოვკიდებ „ბარსელონის“ ქომაგი. ეს მაისურიც იმიტომ მივიტანე, რომ მერისთვის მეთქვა, თბილისელებს „ინტერის“ ფეხბურთელებივით ნუ გვიყურებს.

მისთვის უმჯობესია, ჩვენთან მატაობასაც თუ დაანებებს თავს. ავტოგოლები სჩვევია. პირველ ტურში უკვე გაიტანა ერთი ავტოგოლი და, ასე თუ გააგრძელა, კიდევ ბევრს გაიტანს.

ნინო ზამბახიძე: „ეკონომიკის სამინისტრო და ეროვნული ბანკი ურთიერთსაპირისპირო პოლიტიკას ეწევიან“

საქართველოს ფერმერთა ასოციაციის პრეზიდენტი ნინო ზამბახიძე მიიჩნევს, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და ეროვნული ბანკი ურთიერთსაპირისპირო პოლიტიკას ატარებენ, რაც არათანმიმდევრული მუშაობით აიხსნება.

საუბარია, ერთი მხრივ, ეკონომიკის მინისტრ გიორგი ქობულიას მიერ დაანონსებული საკრედიტო საგარანტიო ფონდის შექმნაზე, მეორე მხრივ კი – ეროვნული ბანკის მიერ სესხის აღების გამკაცრებაზე.

– ხელისუფლება ატარებს არათანმიმდევრულ პოლიტიკას. სხვანაირად ლოგიკას ვერ ვხედავ, როდესაც ეროვნული ბანკი სესხის აღებას ურთულებს უამრავ ადამიანს და მსესხებელს ავალდებულებს საკუთარი შემოსავლები დაასაბუთოს. შორს არ წავალ, როდესაც ფერმერულ მეურნეობებს აქვთ სეზონური შემოსავლები, როგორ დაასაბუთებენ ყოველთვიურად აღნიშნულს, გაუგებარია... ამის პარალელურად კი გიორგი ქობულია ამბობს, ხელს შევუწყობთ ბიზნესებს, იპოთეკის გარეშე დააზღვიონ სესხიო. ამ ორ მოცემულობას შორის ბმას ვერ ვხედავ. ლოგიკა არ არის. იცით, რატომ?! – რადგან მსგავსი გადაწყვეტილებები არ ეფუძნება არც სიღრმისეულ კვლევას, არც ბაზრის შესწავლას, – განმარტავს ნინო ზამბახიძე.

არათანმიმდევრული მუშაობის გათვალისწინებით, ნინო ზამბახიძე გიორგი ქობულიას მიერ დაანონსებულ საკრედიტო-საგარანტიო ფონდის შექმნის იდეას პოპულისტურს უწოდებს.

– იმიტომ, რომ ხელისუფლებაში ასეთი ურთიერთსაპირისპირო პოლიტიკა ტარდება, საკრედიტო-საგარანტიო ფონდის იდეაც უფრო პოპულიზმია, ვიდრე რეალიზმი. არ ვიცით, რაზეა საუბარი; რა ღირებულება აქვს ფონდს და რის ხარჯზე კეთდება. არც ისაა განსაზღვრული, რა დადებითი და უარყოფითი შედეგების მომტანი შეიძლება იყოს. შესაბამისად, როდესაც ინიციატივა არ მოიცავს ეკონომიკურ და იურიდიულ გათვლებს, არ მიმაჩნია მიზანშეწონილად. მსგავსი განცხადებებიც ყოველთვის არის პოპულისტური, – აღნიშნავს ზამბახიძე.

კითხვაზე, რას ფიქრობს თავად ფონდის შექმნის იდეაზე, ფერმერთა ასოციაციის პრეზიდენტი განმარტავს, რომ ერთი შეხედვით კარგი ინიციატივა შესაძლოა დიდი რისკების შემცველი იყოს და ამიტომ რთულია ამ ეტაპზე მისი შეფასება. შესაბამისად, კარგი იქნება ეკონომიკის მინისტრი თუ დამატებით განმარტებებს გააკეთებს.

– მაგალითად, არ ვიცით ეს ფონდი შემთხვევით საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან აღებული სესხი ხომ არ არის? ასეთ სიტუაციაში რამდენად იქნება დადებითი შედეგების მომტანი საეჭვოა. ყველა ვეთანხმებით ხელისუფლებას იმ ნაწილში, რომ ფინანსური ხელმისაწვდომობა დღეს სერიოზული გამოწვევაა და ადამიანები საკუთარ სახლებს არ უნდა კარგავდნენ იპოთეკური სესხის სანაცვლოდ. თუმცა, სანამ ამ საკრედიტო-საგარანტიო ფონდის შექმნას დააანონსებდა ეკონომიკის მინისტრი, მანამდე ალბათ აჯობებდა, იმ რეგულაციებისთვის გადაეხედა, რაზეც საუბრის დასაწყისში ვისაუბრეთ. ბევრი პასუხგაუცემელი შეკითხვაა, – განმარტავს ფერმერთა ასოციაციის პრეზიდენტი ნინო ზამბახიძე.

საკრედიტო-საგარანტიო ფონდისთვის 2019 წლის ბიუჯეტიდან 10 მლნ ლარი გამოიყოფა

როგორც „კომერსანტისთვის“ გახდა ცნობილი საკრედიტო-საგარანტიო ფონდისთვის 2019 წლის ბიუჯეტიდან 10 მლნ ლარი გამოიყოფა. შესაბამისი თანხები მცირე და საშუალო საწარმოებზე გაცემული კრედიტების დაგარანტირებას მოხმარდება.

საუბარია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ გიორგი ქობულიას მიერ დაანონსებულ საკრედიტო-საგარანტიო ფონდის შექმნაზე.

როგორ იმუშავებს ფონდი და რა სახის დახმარებას გაუწევს ბიზნესებს? – ამ და სხვა კითხვებით „კომერსანტმა“ ეკონომიკის სამინისტროს მიმართა.

ეკონომიკისა და მდგრადი განვი-

თარების მინისტრის მოადგილის ეკატერინე მიქაბაძის განმარტებით, ფონდის მუშაობა ეფექტიანი და დადებითი შედეგის მომტანი იქნება. თუმცა დეტალებზე მუშაობა შესაბამის ორგანიზაციებთან ერთად ამჟამადაც მიმდინარეობს, ამიტომ დაზუსტებით კონცეფციაზე საუბარი ნაადრევია.

– დღესდღეობით მნიშვნელოვან პრობლემად რჩება მცირე და საშუალო ბიზნესზე გაცემული სესხების დაბალი დონე. ევროპის ქვეყნებთან საქართველოში შედარებით დაბალია მცირე და საშუალო ბიზნესის წილი საკრედიტო პორტფელის მთლიან მოცულობაში. სწორედ აღნიშნული პრობლემების გამკლავებისკენ არის მიმართული საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმი, რის შედეგადაც ფინანსებზე წვდომა უფრო გამარტივდება. ასევე ფონდი ხელს შეუწყობს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფას. ზოგადად მსგავსი მიდგომები და მექანიზმები წარმატებით გამოიყენება ევროპასა და აზიის მრავალ ქვეყანაში, – განმარტავს ეკატერინე მიქაბაძე.

მისივე თქმით, აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს იმ საბაზრო ჩავარდნების აღმოფხვრასაც, რომლებიც ხელს უშლის სიცოცხლისუნარიანობას ბიზნესს კრედიტის აღებაში. კერძოდ საკრედიტო საგარანტიო სქემა უზრუნველყოფს ისეთი სიცოცხლისუნარიანი მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსებას, რომელთაც არ გააჩნიათ საკმარისი უზრუნველყოფა არსებული საკრედიტო პოლიტიკის ფარგლებში სესხის ასაღებად.

– საქართველოს საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმის ძირითადი პრინციპები და მახასიათებლები სრულ შესაბამისობაშია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ საკრედიტო-საგარანტიო ფონდების შესახებ შემუშავებულ რეკომენდაციებთან, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმის ეფექტიანობას, საგარანტიო სქემის მდგრადობასა და მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებლის გენერირებას. სქემის ფარგლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტება, რაც მნიშვნელოვანი სტიმული იქნება ასევე ახალი სამუშაო ადგილების შექმნის უზრუნველსაყოფად, – აღნიშნავს მიქაბაძე.

„ლუსტრაციის კანონი პოლიტიკურ სპექტრსაც გაასუფთავებს და ფსიქიკასაც შეცვლის“

თენგიზ დიხამინჯია: „უნდა შეიქმნას სახელმწიფო კომისია, რომელიც ამას გააკეთებს“

გულიკო ბალაძე

უზენაესი საბჭოს ყოფილი დეპუტატი თენგიზ დიხამინჯია „ახალ თაობასთან“ ლუსტრაციის კანონის მიღების აუცილებლობაზე საუბრობს.

– ბატონო თენგიზ, ისეთი ვითარება, როგორიც დღეს არის, 90-იან წლებში გადაიზარდა ძალიან სამწუხარო და ტრაგიკულ მოვლენებში. რა განმუხტავს დღევანდელ დაძაბულობას?

– დღევანდელი ვითარება მაშინდელისგან მაინც განსხვავებულია, თუმცა დღევანდელი ვითარებაც ძალიან დაძაბულია.

– დიახ, სამხედროებიც იმუქრებიან.

– ამის გამოვლინებები არის. ასეთი ბინძური კამპანია მე არ მახსოვს. ერთადერთი, მახსოვს სააკაშვილი, სარიშვილი და სხვები იყვნენ ვაკის საარჩევნო ოლქში და ჯაბა იოსელიანმა თქვა, გადასახლებაშიც ვიყავი, კრიმინალებთანაც ვიჯექი, ყველანაირ ხალხთან მქონდა საქმე, კაცის მკვლელებთან, ყაჩაღებთან, მაგრამ იქ თამაშის წესები ისე არ იყო დარღვეული, როგორც ამ საარჩევნო კამპანიის დროსო. მაშინ ჯაბას არა მარტო მე დავეთანხმე. ახლა ჯაბა რომ გაცოცხლდეს, იმავეს იტყოდა.

– ახლა უარესია.

– ახლა ნამდვილად უარესია. უმძაფრესი კონფრონტაციული ფონია. მიმდინარეობს ბრძოლა წესების გარეშე. ამ პრინციპების სრული დაცვით ტარდება წინასაარჩევნო კამპანია. ბოლო 30 წლის განმავლობაში ასეთი რამ არ მახსოვს.

– ხომ არ ფიქრობთ, რომ საქართველომ ვერ მოახერხა საბჭოთა მენტალიტეტისგან გათავისუფლება?

– მთავარი პრობლემა ჩვენს მენტალიტეტშია. საბჭოთა მონობისგან, ფსევდოფასეულობებისგან, საბჭოთა იდეოლოგიისგან უნდა გავთავისუფლდეთ. ამისთვის ისეთი გრანდიოზული ადამიანიც კი არ აღმოჩნდა საკმარისი, როგორიც მერაბ კოსტავაა, რომელიც გმირი და ურჩხულთან ყველაზე დიდი მებრძოლი რაინდი იყო. მან შინაგანი თავისუფლების, ბრძოლისა და თამაშის წესები განგვისაზღვრა, მაგრამ მის გზას ვუღალატეთ. სხვა ინსტიტუტებმაც ვერ შეძლეს ამ ტვირთის აღება, ერის გამთლიანება და ამ თვალსაზრისით სენისგან გათავისუფლება.

– დღეს წყალს რა ამღვრევს?

– წყალს ამღვრევს ჩვენი ცნობიერება, ჩვენი დაბალი პოლიტიკური კულტურა, სულიერებისგან დაცლა, დაბალი ცივილიზაცია.

– გარე ფაქტორები?

– ამას გარე ფაქტორებიც ემატება, სხვადასხვა ქვეყნიდან, სხვადასხვა იდეოლოგიიდან. საქართველოში ნოყიერი ნიადაგია, რომ ყველანაირმა სპეცსამსახურებმა აქ თავიანთი მანკიერი გეგმები განახორციელონ. როდესაც მოუმზადებელი და მოუმწიფებელი ხარ, დიდი სახელმწიფოებრივი ზეამოცანა არ გაგაჩნია, მაშინ მარცხს განიცდი.

– რა ხდება მაშინ, როდესაც ჩვენთან პირდაპირ კგბ-ს მაღალჩინოსნები არჩევნებში მონაწილეობენ?

– აქ მივედით მთავარ პრობლემამდე. საჭიროა, მიღებულ იქნეს ლუსტრაციის კანონი. ამა თუ იმ პერსონას უნდა განესაზღვროს მოქმედების არეალი, იურიდიული, სამართლებრივი და მორალური უფლებამოსილება, თუ რა რანგის საზოგადოებრივი სტატუსი უნდა მიეკუთვნოს და აქვს თუ არა ამის იურიდიული, სამართლებრივი და მორალური უფლება. ეს ეხება მაღალი პოლიტიკური და ადმინისტრაციული თანამდებობის პირებს, რომლებიც საბჭოთა სისტემაში მუშაობდნენ.

ლუსტრაციის კანონის მიღების გადადება არ შეიძლება. პირველ ხელისუფლებაში ლუსტრაციის კანონის მიღებაზე მსჯელობა მიდიოდა, მაგრამ მოვლენათა მიმდინარეობამ სულის მოთქმის საშუალება არ მოგვცა, შემდგომ რაღაც დსთ-ის ვარიანტები იყო და განუწყვეტლივ ყირაობდა ქვეყანა. თვითონ ზვიად გამსახურდიამაც ძალიან კარგად იცოდა საეჭვო ადამიანების შესახებ, მაგრამ არსებული ვითარების გამო საქმე ადგილიდან ვერ დაიძრა.

– შემდეგ თვით საბჭოთა ნომენკლატურა მოვიდა ქვეყნის სათავეში.

– დიახ, შემდგომ კგბ-ს ძალებს გაეხსნათ ფართო ასპარეზი, ეროვნული ძალები გამოცხადდნენ ეროვნულ დამანგრევლებად. ასპარეზი ისევ საბჭოთა ნომენკლატურას ჩაუვარდა ხელში და ყველა მთავრობა, განსაკუთრებით, შევარდნაძის, სააკაშვილისა და დღევანდელი, შემდეგი პრინციპით ხელმძღვანელობს: მათ, ასე თუ ისე, ინფორმაცია გააჩნიათ, აწვდიან სპეცსამსახურები. ამიტომ რადიკალურ გადაწყვეტილებებს ვერ იღებენ.

– რატომ?

– მიაჩნიათ, რომ ესა თუ ის პერსონა იმ თანამდებობაზე უნდა იყოს, ვერსად გაიქცევა.

– გამოსაყენებელია?

– კი, ასე მიაჩნიათ. ასეთი მიდგომა დაუშვებელია. ლიდერები ფიქრობენ, რომ ასეთ ადამიანებს მართავენ. თუ ადამიანზე ინფორმაცია არსებობს, თუ ის უცხო ქვეყნის სამსახურშია, არ შეიძლება დაუშვა მისი სახელმწიფო სამსახურში მუშაობა.

– პოლონეთის ხელისუფლებამ 500 მაღალჩინოსანი გაუშვა სახელმწიფო სტრუქტურებიდან, რომლებიც საბჭოთა რეჟიმის პირობებში მუშაობდნენ და თანამშრომლობდნენ გარკვეულ სპეცსამსახურებთან.

– საბჭოთა კავშირის დროს ლიტვაში ჰყავდათ უთვალსაჩინოესი ადამიანი, პრემიერ-მინისტრი კაზემირა პრუნსკენე, რომელიც ძალიან ნათელი, ინტელექტუალური ადამიანი იყო. კარგად მახსოვს მისი მხარდაჭერა 9 აპრილის ტრაგედიის დროს. როდესაც ლიტვაში გაიმართა საპარლამენტო არჩევნები, ძალიან მოკლე ხანში მიიღეს ლუსტრაციის კანონი და ეს ადამიანი გაუშვეს. დროს წინ გაუსწრეს. მას აეკრძალა თანამდებობაზე ყოფნა. პრუნსკენე მშვიდად წავიდა.

– გინდათ თქვათ, რომ ლუსტრაციის კანონის გარეშე პოლიტიკური სპექტრი არ გასუფთავდება?

– დიახ. საარჩევნო კამპანიის დღევანდელი სიბინძურე რით გამოირჩევა? ორივე კანდიდატი ერთსა და იმავე საქმეში, კონკრეტულად, რუსეთის მხარდაჭერაში, რუსეთის დამქაშობაში, მათ ლობისტობასა და მოსალოდნელ გადატრიალებაში ერთმანეთს სასიკვდილო არგუმენტებით ებრძვის.

თუ ამას წერტილი თუ არ დაესვა, ნებისმიერი ხელისუფლება, რომელიც მოვა, ამ რეალობის წინაშე დადგება. თუ ამ საზოგადოებას ლუსტრაციის კანონის მიღება არ შეუძლია, მოვა მორიგი ძალა, რომელიც ამ მოჯადოებულ წრეში აღმოჩნდება, ბნელ ადამიანებს კიდევ ერთხელ გამოიყენებენ, ჩათვლიან, რომ მათ მართავენ, მაგრამ გამოჭერილი თვითონ დარჩებიან.

– დეპუტატმა კობერიძემ ლუსტრაციის კანონის ინიციირება გადაწყვიტა. იმედი გაქვთ, რომ ლუსტრაციის კანონს მიიღებენ?

– იმედი მაქვს, მაგრამ ლუსტრაციის კანონის მიღებას ტოტალური მხარდაჭერა სჭირდება. ვერ ვხედავ ძალებს, რომლებიც დაინტერესებული არიან და ამ პრობლემის მნიშვნელობა აქვთ გაცნობიერებული. ამიტომ უნდა შეიქმნას სახელმწიფო კომისია, რომელიც ამას გააკეთებს.

– პარლამენტის მიერ ლუსტრაციის კანონის მიღება არ არის საკმარისი?

– მხოლოდ პარლამენტისადმი ამის მინდობა სწორად არ მიმაჩნია.

– საპარლამენტო კომისიაც ხომ არ უნდა შეიქმნას?

– საპარლამენტო კომისია შეიძლება იყოს სახელმწიფო კომისიასთან შეზრდილი. ფორმა უნდა გამოიძებნოს. კომისიაში უნდა იყვნენ ისეთი პირები, რომლებიც იქნებიან აბსოლუტურად მიუკერძოებელი, არც ერთი ბანაკის წარმომადგენლები არ იქნებიან. საბედნიეროდ, ინტელიგენციის ასეთი წარმომადგენლები ჯერ კიდევ არიან, რომლებიც არც ერთ პარტიაში შედიან.

– კაცმა შეიძლება თქვას, რა საჭიროა ლუსტრაციის კანონი, როდესაც პიროვნება, ვთქვათ, იგივე გრიგოლ ვაშაძე პირდაპირ კგბ-ს ნომენკლატურა იყო, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსანი გახლდათ? როგორც ჩანს, დოკუმენტი აუცილებელია.

– დიახ, დოკუმენტი აუცილებელია. კრიტერიუმები უნდა იქნეს შემოღებული, რომლებიც პარტიულ კონიუნქტურაზე უნდა ამაღლდეს. მეეჭვება, ამ პარლამენტმა ეს გააკეთოს, რადგან ან ერთი მხარე იქნება, ან მეორე წინააღმდეგი. ამიტომ კრიტერიუმები უნდა შემუშავდეს და კომისია საზოგადოებრივ საწყისებზე უნდა შეიქმნას, რომელსაც დიდი ლეგიტიმაცია ექნება.

– საბჭოთა კავშირის ნგრევის დასაწყისში საქართველოდან გაიტანეს უში შროების არქივი, ამიტომ ლუსტრაციის კანონის ამოქმედება ძნელია.

– ეს ძალიან სუსტი არგუმენტია.

– მაინცდამაინც ანკეტის წარმოდგენაა საჭირო, სადაც ეწერება, აგენტია თუ გენერალი? ხომ არის ცნობილი, საბჭოთა ნომენკლატურას ვინ წარმოადგენდა? რა კრიტერიუმები შეიძლება იყოს ამისთვის შემუშავებული?

– მაგალითად, სპეცსამსახურებთან ეკონომიკური, სადაზვერვო, საინფორმაციო, ფინანსური კუთხით ურთიერთობა. კომპლექსური საკითხია. კრიტერიუმების სტანდარტი გამოყენებული უნდა იყოს ნებისმიერი ადამიანის მიმართ, რომელიც თანამშრომლობდა უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებთან და დღეს ქვეყნის სუვერენიტეტს დიდ პრობლემას უქმნის.

– გრიგოლ ვაშაძემ უცხოურ გაზეთთან განაცხადა, რომ ის ამაყობს თავისი საბჭოთა წარსულით. ეს რამე პრობლემას ქმნის?

– იამაყოს, ამას მას ვერავინ აუკრძალავს.

– როდესაც ლუსტრაციის კანონზე ვსაუბრობთ და ვაშაძეს უნდა საქართველოს პრეზიდენტობა, როგორ ჩანს მისი ეს განცხადება?

– რბილად რომ ვთქვათ, ეს ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია. წესით, იმ სტანდარტებს, რომლებზეც ვისაუბრეთ, ვაშაძე ვერანაირად ვერ დააკმაყოფილებს. წინასწარ ვერ ვიტყვი. მთავარია, რა სტანდარტებზე შეთანხმდება მთლიანად საზოგადოება.

– შეიძლება, გრიგოლ ვაშაძე დაექვემდებაროს ლუსტრაციის კანონს?

– რა თქმა უნდა, სავსებით შესაძლებელია, ლუსტრაციას დაექვემდებაროს, გააჩნია, რაზე შევთანხმდებით. ყველა ქვეყანას თავისი სპეციფიკური სტანდარტი აქვს. ერთი ქვეყანა რასაც აპატიებს, მეორე იმას არ აპატიებს. მიწის კანონივით არის. თვითონ ქვეყანამ უნდა განსაზღვროს არეალი ძალიან მყარად, ინტერპრეტაციების გარეშე.

არსებული საარჩევნო კანონები იძლევა შესაძლებლობას უზარმაზარი ინტერპრეტაციებისთვის. ზურაბიშვილისა და ვაშაძის გამოსვლა იძლევა შესაძლებლობას, ნებისმიერი სახის ინტერპრეტაციები მოწინააღმდეგის ბანაკმა გამოიყენოს და სასურველი მიმართულებით მეორე კანდიდატის გასანადგურებლად წარმართოს.

ესეც თამაშის წესებსა და კულტურაშია ჩამოსაყალიბებელი. ლუსტრაციის ელემენტებს ესეც შეიცავს. ლუსტრაციის კანონი ამასაც დაარეგულირებს, პოლიტიკურ სპექტრსაც გაასუფთავებს და ფსიქიკასაც შეცვლის. ლუსტრაციის კანონის მიღება ხელისუფლების გადაუდებელი ამოცანაა. პოლიტიკური სპექტრი გაიფილტრება და გაჯანსაღდება.

– ლუსტრირებულ საზოგადოებაში, ალბათ, პრორუსული ძალების ადგილი აღარ იქნება.

– დაასრულებენ თავიანთ მოღვაწეობას. თვითონაც დარწმუნდებიან, რომ მათი პოზიცია, ხედვა ამ ქვეყნის მიმართ წარმავალია.

ანზორ ქოქოლაძე: „ბიზნესს ჯერ არ მოუშუშებია ის ჭრილობები, რომლებიც ნაციონალურმა მოძრაობამ მიაყენა“

რა ახდენს ეკონომიკასა და ლარის კურსზე გავლენას? – ამ თემაზე „ელიტ ელექტრონიქსის“ დამფუძნებელის, ბიზნესმენ ანზორ ქოქოლაძის მოსაზრება ასეთია:

– ჩვენ ვართ პატარა ეკონომიკა. ეკონომიკაზე და ლარის კურსზე გავლენას ახდენს ფულადი გადმორიცხვები, ტურიზმი, ექსპორტი, ინვესტიცია. ჩვენ ძალიან დამოკიდებული ვართ რეგიონალურ ქვეყნებთან. აზერბაიჯანში იყო დაახლოებით 100%-იანი ზრდა კურსის, რუსეთში იყო 120%-ით, თურქეთში 250%, ირანში 260% და ა.შ. საქართველოში კი – დაახლოებით 65%. კონკრეტული პრობლემების წინაშე როცა ბიზნესში ვრჩები, ეს საერთოდ არანაირ შეღავათს არ მაძლევს. მით უმეტეს, ბიზნესს ჯერ არ მოუშუშებია ის ჭრილობები, რომლებიც ნაციონალურმა მოძრაობამ მიაყენა. იმ პერიოდში ქართული ლარი გაცილებით ნაკლებად გაუფასურდა – 65%-ით. გაუფასურებაც ძალიან მტკივნეულია, მაგრამ ის, რომ შესაძლებელი იყო, ეს გაუფასურებულიყო 200-250%-ით, ესეც დიდი შედარებაა და ეს მოხდა მხოლოდ იმიტომ, რომ შიდა ფაქტორები იყო ძალიან ჯანსაღი.

რომ ყოფილიყო ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში დღეს, მინიმუმ 200 %-იანი დევალვაცია შეიძლებოდა გვქონოდა, იმიტომ, რომ გარდა გარე შოკებისა გვექნებოდა შიდა შოკები. 2008 – 2009 წლებში როცა ეკონომიკური კრიზისი იყო და ომი მოხდა, ნაციონალურ მოძრაობას არ დაუწყია ბიზნესთან მეტი კოორდინაცია და პრობლემების მოგვარება. პირიქით, მოხდა ზეწოლა, მოხდა ტერორი, ადამიანები გარბოდნენ და ღამით უფორმებდნენ სახელმწიფოს ქონებას, ეს კარგ შემთხვევაში, თორემ ცუდ შემთხვევაში ხელისუფლებასთან დაახლოებულ პირებზე ხდებოდა გადაფორმება ღამის საათებში. ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების პირობებში გაცილებით დიდი დევალვაცია გვექნებოდა, ღმერთს მადლობა, რომ ისინი არ იყვნენ, – განაცხადა ანზორ ქოქოლაძემ.

ფინანსთა მინისტრი: „უმუშევრობა ისტორიულ მინიმუმზეა“

უმუშევრობა ისტორიულ მინიმუმზეა, – ეს განცხადება ფინანსთა მინისტრმა ივანე მაჭავარიანმა პარლამენტში 2019 წლის ბიუჯეტის წარდგენისას გააკეთა, თუმცა დასძინა, რომ ეს თვითკმაყოფილების საფუძველს არ იძლევა.

– მნიშვნელოვანია იმის დანახვა, რომ ჩვენ სწორი მიმართულებით ვვითარდებით და ეს ტენდენციები ძალიან მნიშვნელოვანია, – აღნიშნა მაჭავარიანმა. მისივე თქმით, ბიზნესსექტორში დასაქმებულთა რაოდენობა საშუალოდ 40 ათასი კაცით იზრდება ყოველწლიურად, თუმცა აღნიშნა, რომ ეს ზრდა არ არის საკმარისი იმისთვის, რომ სილარიბე დაძლეულ იქნეს და უმუშევრობის მაჩვენებელიც მკვეთრად დაეცეს.

„სამსონ ქუთათელაძის შვილმა ყვირილი დაიწყო, ვუთხარი, გამოდი გარეთ-მეთქი და პოლიციაში დავრეკე“

სასამართლოში სტამბოლის ბაზრის დაცვის უფროსი დაიკითხა

გენერალ სამსონ ქუთათელაძის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით რუსთავის საქალაქო სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე ბრალდების მხარის მორიგი მოწმე, შპს „ერთობის“ (ე.წ. სტამბოლის ბაზრის) დაცვის სამსახურის უფროსი დიმიტრი ჩხეიძე დაიკითხა.

დაცვის სამსახურის უფროსი ბაზრის დირექტორ მამუკა ცხოვრებაძის შემდეგ მეორე პირი იყო, ვინც მოკლული გენერალი საკუთარ კაბინეტში ნახა და პოლიციაში დარეკა.

ბაზრობის დაცვის სამსახურის უფროსმა, პროცესზე დეტალურად ისაუბრა 15 იანვრის საღამოს განვითარებულ მოვლენებზე და ადვოკატის მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა.

როგორც დიმიტრი ჩხეიძემ დაკითხვისას განაცხადა, მას მამუკა ცხოვრებაძემ 15 იანვარს, დაახლოებით 16:53 წუთზე დაურეკა და ადმინისტრაციის შენობასთან სასწრაფოდ მისვლა სთხოვა.

– მამუკა ცხოვრებაძემ დამირეკა, ადმინისტრაციის შენობასთან მოდიო. ისეთი ხმა ჰქონდა, რომ რამდენიმე წამი დამჭირდა, სირბილით მივედი იქამდე. მისვლისას მითხრა, კაბინეტში ვიღაც არის და გილზები ყრია იქვეო. შევედი ადმინისტრაციის შენობაში, ბესოც (სამსონ ქუთათელაძის შვილი) შემოვიდა, რომელიც ამავდროულად ურეკავდა სამსონს, მისი ტელეფონის ხმა კაბინეტიდან ისმოდა, შესვლისას რაც დაინახა, ყვირილი დაიწყო. მე ვუთხარი, გამოდი გარეთო და პოლიციაში დავრეკე.

შენობიდან რომ გამოვედი, იქვე იდგა ჩემი მოადგილე დვალი და თანამშრომელი რეხვიაშვილი. რეხვიაშვილმა მოგვიანებით მითხრა, რომ დაინახა, გიორგი ჭანტურია და სამსონ ქუთათელაძე ბაზრობის ადმინისტრაციულ შენობაში როგორ შევიდნენ ერთად, – განაცხადა დიმიტრი ჩხეიძემ.

გიორგი ჭანტურიას ადვოკატის ბექა ბასილაიას თქმით, ბრალდების მხარე სასამართლო პროცესზე ცდილობს იმ ლაფსუსების „გასწორებას“, რაც გამოძიების დროს იქნა დაშვებული, გიორგი ჭანტურია კი მხოლოდ განტევების ვაცია.

– ჩვენ ვიცით, რომ ამ საქმეში არიან „ჩადებული მოწმეები“ და ახლაც გზადაგზა ვხედავთ, რომ სხვა მოწმეებიც ცდილობენ როგორღაც გაამყარონ ამ „ჩადებულ მოწმეთა“ ჩვენებები. მოწმეები, სასამართლო პროცესზე, შემთხვევიდან თითქმის ერთი წლის თავზე იხსენებენ ისეთ გარემოებებს, რომლებიც შემთხვევიდან რამდენიმე საათის შემდეგ დაკითხვისას ნახსენებიც კი არ ჰქონდათ.

ეს მიუთითებს ერთადერთ რამეზე, თავის დროზე, როდესაც ხდებოდა საქმის შეკერვა გიორგი ჭანტურიას წინააღმდეგ, ლაფსუსები იქნა დაშვებული. ღიად, თეთრი ძაფით ნაკერი იყო შსს-ს მიერ წარმოებულ გამოძიებაში, რომ გიორგი ჭანტურიას წინააღმდეგ მიმდინარეობდა გამოძიება მხოლოდ იმისთვის, რომ ის ყოფილიყო განტევების ვაცი მოცემულ საქმეში და სრულიად უდანაშაულო ადამიანი მისცეს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში.

დღეს უკვე სასამართლო პროცესზე ცდილობს, ბრალდების მხარე ის ლაფსუსები, რაც გამოძიებამ დაუშვა, როგორღაც გამოასწოროს, – განაცხადა გიორგი ჭანტურიას ადვოკატმა.

პროკურორ ნიკოლოზ სანიკიძის მტკიცებით, მოწმეები პირდაპირ მიუთითებენ იმ მოტივებზე, რომლებიც შეიძლებოდა გამხდარიყო მკვლელობის ჩადენის საფუძველი, ასევე საუბრობენ იმ დაპირისპირებაზე, რომელიც არსებობდა ბრალდებულსა და გარდაცვლილს შორის.

– დღეს დაკითხული მოწმის ჩვენება და გამოკვლეული მტკიცებულებები საკმაოდ მნიშვნელოვანია და არსებითია საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისათვის. ბრალდების მხარე შემდგომ პროცესებზე კვლავაც წარადგენს იმ მტკიცებულებებს, რომლებიც პირდაპირ და უტყუარად დაადასტურებენ ბრალდებულის ბრალეულობას.

საქმეზე ასეულობით მოწმეა დაკითხული და გამოძიებამ მხოლოდ მას შემდეგ მიიღო სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების გადაწყვეტილება, რაც შეკრიბა საკმარისი მტკიცებულებები, – განაცხადა პროკურორმა ნიკოლოზ სანიკიძემ.

მარნეულში საჭმლის დროულად არმიტანის გამო კაცმა ცოლი გაკოჭა და 4 საათი სცემდა

მეუღლის მიმართ განხორციელებული წამებისა და თავისუფლების უკანონო აღკვეთისთვის ბრალდებულს 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და მეუღლის მიმართ განხორციელებული წამებისა და თავისუფლების უკანონო აღკვეთისთვის ბრალდებული გ.გ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2018 წლის 14 თებერვალს, მარნეულის რაიონში, მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა გ.გ.-მ იმის გამო, რომ მეუღლემ – ლ.ბ.-მ დროულად არ მიუტანა საჭმელი, გენდერული შეუწყნარებლობის მოტივით სცემა მას, ხოლო, როდესაც დაზარალებული წინააღმდეგობის გაწევას შეეცადა, იგი იატაკზე წააქცია და ხელ-ფეხი პლასტმასის ე.წ. ხამუთებით შეუბოჭა, რომლის დროსაც ლ.ბ.-ს წინააღმდეგობის დასაძლევად ფეხში დანა ჩაარტყა. ლ.ბ. შებოჭილ მდგომარეობაში დაახლოებით ოთხი საათი იმყოფებოდა და ამ დროის განმავლობაში, გ.გ. მას ფიზიკური ტკივილის და მორალური ტანჯვის მისაყენებლად ფეხებით და ხელებით სცემდა.

სამართალდამცველებმა გ.გ. 2018 წლის 17 თებერვალს დააკავეს. მარნეულის რაიონულმა პროკურატურამ მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111,143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ჩადენილი სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ) და 111,1441 მუხლის პირველი ნაწილით (ოჯახის ერთი წევრის მიერ, ოჯახის სხვა წევრის მიმართ წამება) წარუდგინა. გ.გ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ გ.გ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად, დანაშაულთა ერთობლიობით 7 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

საქართველოს მოქალაქეს საბერძნეთში 290 წელი მიუსაჯეს

საქართველოს მოქალაქეს სალონიკის სასამართლომ 290-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. პატიმრობის ვადა საქართველოს მოქალაქის მიერ ჩადენილი დანაშაულების ჯამით განისაზღვრა.

კრიმინალურ დაჯგუფებას არალეგალი მიგრანტების გადაყვანის ქსელი ჰქონდა შექმნილი, მათი მეთაური კი საქართველოს მოქალაქე იყო. ქსელი მას შემდეგ გაიშიფრა, რაც ერთ-ერთი შემთხვევისას ავარია მოხდა.

2017 წლის აპრილში პოლიციამ მათი ავტომობილის გაჩერება გადაწყვიტა, თუმცა მოლდოვის მოქალაქე, რომელიც ავტომობილს მართავდა, მოთხოვნას არ დაემორჩილა და სიჩქარეს მოუმატა, საჭე ვერ დაიმორჩილა და ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. მძღოლმა ადგილიდან გაქცევა გადაწყვიტა, თუმცა ის პოლიციამ დააკავა, ავტომობილში კი 14 ადამიანი აღმოაჩინეს, მათ შორის ერთი, ირანის მოქალაქე, ავარიის შედეგად იყო გარდაცვლილი.

ამის შემდეგ პოლიციამ დაჯგუფებაზე გასვლა შეძლო.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ამ საქმიანობას კრიმინალური დაჯგუფება 2016 წლის ოქტომბრიდან 2017 წლის ივნისამდე ახორციელებდა დაა გარკვეული თანხის სანაცვლოდ მიგრანტები თურქეთიდან სალონიკსა და ათენში გადაჰყავდათ. საბრალდებო დასკვნის თანახმად, მათ მიგრანტები უკანონოდ 9-ჯერ გადაიყვანეს და თითო ჯერზე 10-15 ადამიანის გადაყვანა ხდებოდა.

საქართველოს მოქალაქესთან ერთად ადამიანების ტრეფიკინგში დამნაშავედ საბერძნეთის ერთი და მოლდოვის ერთი მოქალაქე ცნეს

8 წელი არასრულწლოვნის ძარცვისთვის

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და არასრულწლოვნის ძარცვაში ბრალდებული ა.შ. დამნაშავედ ცნო. მას 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს პროკურატურიდან აცნობეს, მსჯავრდებულმა ა.შ.-მ 2018 წლის 2 აგვისტოს, საღამოს საათებში, თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩაზე, არასრულწლოვან გ.გ.-ს ძალადობის გამოყენებით გასტაცა 140 ლარის ღირებულების მობილური ტელეფონი და მიიმალა.

მათივე ინფორმაციით, მსჯავრდებული ორჯერ არის ნასამართლევი.

სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისთვის ორჯერ ნასამართლევმა ა.შ.-მ, 2018 წლის 2 აგვისტოს, საღამოს საათებში, ქ.თბილისში სარაჯიშვილის ქუჩაზე, არასრულწლოვან გ.გ.-ს ძალადობის გამოყენებით გასტაცა 140 ლარის ღირებულების მობილური ტელეფონი და მიიმალა.

სამართალდამცველებმა ა.შ. 2018 წლის 3 აგვისტოს დააკავეს. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულმა პროკურატურამ მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მესამე ნაწილის „დ“ და მეოთხე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (ძარცვა, ჩადენილი ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისთვის და ჯანმრთელობისთვის იმის მიერ, ვინც ორჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისთვის) წარუდგინა. ა.შ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ა.შ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

კლიენტმა ტაქსი გაიტაცა

თბილისში ტაქსის მძღოლის მანქანა კლიენტმა გაიტაცა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მანქანის მფლობელს კლიენტმა საჭესთან დაჯდომა სთხოვა.

– ვტაქსაობ და კლიენტი ცდილობდა მანქანის გატაცებას. ვითომ ყიდვა უნდოდა მანქანის, უბრალოდ გაიტაცა, მანქანაში ჩაჯდა და უბრალოდ გაიტაცა, – აღნიშნა დაზარალებულმა.

ზურაბ ჟვანიას სახელობის მოედნიდან გატაცებული ავტომობილი საპატრულო პოლიციამ ნუცუბიძის ქუჩაზე ნახა.

სავარაუდო დამნაშავე კი ცხელ კვალზე დააკავეს. გამოძიება 178-ე ძარცვის მუხლით მიმდინარეობს.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

☎ 230 62 52; 599 16 10 82

ქარელში დამწვარ სახლში 50 წლის მამაკაცის გვამი იპოვეს

ქარელში, სოფელი შაქშაქეთში, ორსართულიანი სახლის სახურავი დაიწვა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, დაიწვა 120 მ! ფართობი.

მეხანძრე მაშველების მიერ ხანძრის ქრობის პროცესში აღმოჩენილია 50 წლის მამაკაცის გვამი.

ადგილზე მუშაობდა 2 სახანძრო ბრიგადა.

მარნეულში სახლიდან ნახევარ კილომდე ოქრო მოიპარეს

სოფელ დაშტაფაში საცხოვრებელი სახლიდან დიდი ოდენობით ოქროულობა მოიპარეს. დაზარალებული მეჩეთის ახუნდი სეიდ ელდანიზი საგიდოვია, რომელმაც ზუსტად არ იცის, თუ როდის გაძარცვეს მისი სახლი. შემთხვევით კი 25 ოქტომბერს აღმოაჩინეს, რომ სახლიდან 433 გრამი ოქრო იყო წაღებული.

სადიგოვს სავარაუდო ეჭვმიტანილებიც ჰყავს ნათესავებისა და მეზობლების სახით. მისი თქმით, თუ შსს-მ 14 ნოემბრამდე არ გახსნა ქურდობის საქმე, იგი საქართველოს მთავარ პროკურატურას, არასამთავრობოებსა და სამართალდამცველებს მიმართავს.

შსს-ს ინფორმაციით, მომხდარ ფაქტზე გამოძიება 177-ე ქურდობის მუხლითაა დაწყებული და მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები.

აშშ-ის ენერგეტიკის მინისტრი კიევში ჩავიდა

პოროშენკოს საშინაო პოლიტიკა აშკარად წარუმატებელია, საგარეოზე კი ამას ვერ ვიტყვით. აქ მნიშვნელოვანი მიღწევებია. ამისი ნათელი დადასტურებაა აშშ-ის ენერგეტიკის მინისტრის რიკ პერის ვიზიტი კიევში.

ამერიკელ მინისტრს უკრაინაში საზეიმო დახვედრა მოუწყვეს. ის უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა პავლო კლიმკინმა მიიღო.

კლიმკინმა და ამერიკელმა სტუმარმა რამდენიმე დოკუმენტს მოაწერეს ხელი. აქედან ყველაზე მნიშვნელოვანია შეთანხმება პროექტ „ჩრდილოეთის ნაკადი 2-ის“ წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შესახებ. როგორც ცნობილია, რუსეთი აღნიშნულ პროექტს ლობირებს. ამ საკითხში მოსკოვს მხარს უჭერს ბერლინიც.

„ჩრდილოეთის ნაკადი 2“ ორ მიზანს ისახავს. პირველი და უმთავრესი ევროპაში რუსეთის გავლენის გაძლიერებაა. ამას შემდგომში რუსეთ-გერმანიის ალიანსი უნდა

მოჰყვეს. მეორე მიზანი უკრაინის, როგორც სატრანზიტო ქვეყნის, ფუნქციის დაკნინებაა. დღეს ევროპას რუსული გაზი უკრაინის გავლით მიეწოდება. ხსენებული პროექტის რეალიზების შემდეგ უკრაინა ერთადერთი ტრანზიტორი ვეღარ იქნება. უკრაინის ბიუჯეტიც მილიონობით დოლარს დაკარგავს.

უკრაინამ იპოვა ძლიერი მოკავშირე აშშ-ის სახით, რომელიც „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის ჩაშლით ასევე დაინტერესებულია. კიევში ხელმოწერილი შეთანხმებით შესაძლებელი ხდება უკრაინა-აშშ-ის ერთობლივი ღონისძიებების განხორციელება, რაც „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის ჩაშლით უნდა დასრულდეს.

– „ჩრდილოეთის ნაკადი 2“ არ განხორციელდება, – ასკვნის ექსპერტი დიმიტრი გორდონი.

ამას გარდა, ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომელიც უკრაინულ ატომურ ელექტროსადგურებზე უსაფრთხოების ერთობლივი ღონისძიებების გატარებას გულისხმობს.

ამით გადაიდგა კიდევ ერთ ნაბიჯი უკრაინის ენერგოდამოუკიდებლობის განმტკიცებისაკენ.

ტრამპი ევროპელებს ისევ აკრიტიკებს

პარიზიდან დაბრუნებულმა ტრამპმა ევროპა კვლავ გააკრიტიკა.

საუბარია ევროპელთა პასიურობაზე ნატოს გაძლიერების საკითხში. ტრამპი მოითხოვს, რომ ევროპელებმა ნატოსთვის მეტი ფინანსები გაიღონ.

– აშშ მოითხოვდა და მოითხოვს, რომ მის მიმართ ყველა სამართლიანი იყოს. ეს, უწინარეს ყოვლისა, ჩვენს ევროპელ პარტნიორებს შეეხება, – თქვა ტრამპმა.

ისრაელი-პალესტინა: დაპირისპირება მწვავდება

ისრაელის არმიამ ღაზას სექტორში სპეცოპერაცია ჩაატარა. ამან ისრაელ–პალესტინის ურთიერთობები კიდევ უფრო დაძაბა. ისრაელის სამხრეთ რაიონს 19 პალესტინური რაკეტა მოხვდა. დაიღუპა 7 ადამიანი, მათ შორის 19 წლის ყმაწვილი.

ისრაელმა საპასუხოდ პალესტინელთა ტერიტორია დაბომბა. დაიღუპა 6 ადამიანი. პრემიერმა ნეტანიაჰუმ განაცხადა, რომ ნებისმიერ აგრესიულ ქმედებას საკადრისი პასუხი გაეცემა.

– ჩვენ ღაზას სექტორში ჩვენი გავლენის ზრდისკენ არ მივისწრაფვით, მაგრამ არც იმას დავუშვებთ, რომ იქ ტერორისტებმა ინავარდონ, – ამბობს ნეტანიაჰუ.

ისრაელმა განახორციელა დარტყმა ჰამასის დაზვერვის შტაბ-ბინაზე. პარალელურად განხორციელდა დარტყმა ჰამასის რიგ სხვა ობიექტზეც. განადგურებულია მისი 70-მდე საცეცხლე წერტილი.

კალიფორნიაში ხანძრის შედეგად 42 ადამიანია დაღუპული

კალიფორნიაში მასშტაბური ხანძრის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 42-მდე გაიზარდა. ამის შესახებ ინფორმაციას ამერიკული მედია ავრცელებს. აქამდე საუბარი იყო 31 დაღუპულზე.

ტყის ხანძარი ჩრდილოეთ კალიფორნიაში ხუთშაბათს დაიწყო. ბოლო მონაცემებით, ხანძრის გავრცელების ფართობი 45 ათას ჰექტარს შეადგენს. ხანძრის შედეგად 7 ათასამდე ნაგებობაა განადგურებული.

საერთო ჯამში, კალიფორნიაში 300 ათასი ადამიანის ევაკუირება მოხდა.

ეს კალიფორნიის შტატის ისტორიაში ყველაზე გამანადგურებელი ხანძარია.

აქამდე ყველაზე გამანადგურებელი ხანძარი კალიფორნიის შტატში 2017 წელს დაფიქსირდა. მაშინ ხანძრის შედეგად 5,5 ათასი ნაგებობა განადგურდა, ხოლო ხანძრის გავრცელების ფართობი 15 ათას ჰექტარს შეადგენდა.

განძიუკზე თავდასხმის შემკვეთი დაპატიმრებულია

უკრაინის პოლიციამ დაადგინა პიროვნება, რომელმაც აქტივისტ განძიუკზე თავდასხმა შეუკვეთა. იგი იგორ პავლოვსკია და დეპუტატ პალამარჩუკის (პეტრო პოროშენკოს ბლოკი) თანაშემწე.

დაკავებულია აგრეთვე 5 პირი, რომლებიც განძიუკს გზაში დახვდნენ და სახეში მარილმჟავა შეასხეს. ყველა მათგანი დონბასის ბრძოლების მონაწილეა.

ეკატერინე განძიუკი უკრაინული ეროვნული მოძრაობის აქტივისტი იყო. ის როგორც რუსეთის გავლენის, ასევე კორუმპირებული ჩინოვნიკების წინააღმდეგაც ილაშქრებდა. უკანასკნელ ხანს განძიუკი ძალოვანი სტრუქტურების, უწინარეს ყოვლისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს დაუპირისპირდა. მათ ის კორუფციაში სდებდა ბრალს.

ბრექსიტთან დაკავშირებული მოლაპარაკებები კრიტიკულ ფაზაში შევიდა

ბრექსიტთან დაკავშირებული მოლაპარაკებები კრიტიკულ ფაზაშია შესული. საუბარია ჩრდილოეთ ირლანდიასა და ირლანდიას შორის საზღვარზე.

ჩრდილოეთ ირლანდია დიდ ბრიტანეთის შემადგენლობაშია, ირლანდია კი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

ბრიტანეთის მთავრობისგან საზღვართან დაკავშირებით რიგ კომპრომისს მოითხოვენ. პრემიერმა მეიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ პირადად ის ამისთვის მზადაა, მაგრამ კაბინეტის წევრები მხარს არ უჭერენ.

– მომიწევს მათი დარწმუნება, – თქვა მეიმ.

ნავალნის რუსეთიდან გასვლა აუკრძალეს

რუსული დემოკრატიული ოპოზიციის ლიდერი ნავალნი სტრასბურში ადამიანის უფლებების დაცვის სასამართლოზე დასასწრებად მიემგზავრებოდა, მაგრამ საზღვარზე გააჩერეს და განუცხადეს, რომ რუსეთს ვერ დატოვებდა.

– გვაქვს სათანადო ბრძანება, – უთხრეს მესაზღვრეებმა.

ნავალნიც სტრასბურში ვერ გაემგზავრა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ბორჯღალოსნები რეიტინგში დაქვეითდნენ

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ფლორენციაში იტალიის ეროვნულ გუნდთან 17:28 რომ დამარცხდა, შედეგმა რეიტინგზეც იმოქმედა. მსოფლიო რაგბის ორგანიზაციამ ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელშიც გასულ უქმეებზე გამართული ტესტ-მატჩების შედეგებია გათვალისწინებული.

ჩვენები განახლებულ რეიტინგში ერთი საფეხურით დაქვეითდნენ, ხოლო იტალიას ამ გამარჯვებამ მე-13 ადგილი მოუტანა, რომელიც აქამდე მილტონ ჰეიგის გუნდის კუთვნილება იყო. აპენინელებს 73.32 ქულა აქვთ, ხოლო ჩვენებს – 72.37 ქულა.

შეგახსენებთ, რომ აქამდე ჩვენს გუნდს 73.13 ქულა ჰქონდა, ხოლო იტალიას 72.56 ქულით მე-14 ადგილი ეკავა.

რეიტინგის ტოპ-ათეულში კი ერთადერთი ცვლილებაა – შოტლანდიამ ავსტრალიას გადაუსწრო და მე-7 ადგილზე გადავიდა.

საუკეთესო 15 გუნდი რეიტინგში ასე გამოიყურება:

1.ახალი ზელანდია – 93.58 ქულა; 2.ირლანდია – 90.12; 3.უელსი – 86.70; 4.ინგლისი – 85.54; 5.ს.აფრიკა – 83.94; 6.შოტლანდია – 82.75; 7.ავსტრალია – 82.51; 8.საფრანგეთი – 78.20; 9.არგენტინა – 78.01; 10.ფიჯი – 76.40; 11.იაპონია – 75.24; 12.ტონგა – 73.84; 13.იტალია – 73.32; 14.საქართველო – 72.37; 15.აშშ – 72.32.

შეგახსენებთ, რომ „ბორჯღალოსნები“ თიბილი რაგბის სერიების მომდევნო 2 მატჩს თბილისში გამართავენ: 17 ნოემბერს „ავჭალაზე“ სამოასთან და 24 ნოემბერს „მიხეილ მესხზე“ ტონგასთან. ორივე შეხვედრის გამარჯვების შემთხვევაში მილტონ ჰეიგის გუნდს კვლავ შეუძლია რეიტინგში დაწინაურდეს.

ეროვნული ნაკრები ანდორისთვის სრული შემადგენლობით ემზადება

ხვალ უეფას ერთა ლიგის მე-5 ტურის შეხვედრაში საქართველოს ნაკრები სტუმრად ანდორას ეთამაშება. მატჩი თბილისის დროით 23:45 საათზე დაიწყება.

ვლადიმირ ვაისის გუნდი 2 დღეა ანდორაშია. საწვრთნელი შეკრების პირველ დღეს ეროვნული გუნდი ანდორაში არასრული შემადგენლობით იმყოფებოდა და მსუბუქად ივარჯიშა. გუშინ კი, ეროვნული ნაკრების 3 ფეხბურთელი – ჯაბა კანკავა, ნიკა კვეკვესკირი, სოლომონ კვირკველია შეუერთდა და საწვრთნელ პროცესში ჩაერთო.

ვარჯიშები ადგილობრივი ფეხბურთის ფედერაციის ხელოვნურსაფარიან სავარჯიშო მოედანზე გაიმართა, რაც პრობლემას ქმნის, რასაც ფეხბურთელებიც ადასტურებენ.

გიორგი მერებაშვილი:

– პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ ჯგუფურ ეტაპზე მოპოვებული წარმატების შემდეგ ნაკრებში ძალიან კარგი ატმოსფეროა. ამის მიუხედავად, ანდორას წინააღმდეგ მნიშვნელოვანი თამაში გველის. ხელოვნურსაფარიან მინდორზე მოგვიწევს თამაში და ეს გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ამასთან, გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ ანდორას ნაკრები დაცვიდან ითამაშებს და თავისუფალი სივრცეების მოძებნა იქნება საჭირო. ჩვენი თამაში უნდა ვითამაშოთ და იმედი მაქვს, რომ კიდევ ერთ შეხვედრას მოვიგებთ.

ოთარ კაკაბაძე:

– 4 მოგების შემდეგ ეროვნულ ნაკრებში მშვენიერი განწყობაა და ეს აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ. პირველ რიგში, ანდორას წინააღმდეგ გასამართი მატჩი აუცილებლად მოსაგებია. ვფიქრობ, რომ გამარჯვებას კვლავ ჩვენი ბრძოლისა და ბურთის კონტროლის ხარჯზე მოვიპოვებთ. რაც შეეხება ხელოვნურსაფარიან მოედანს, ნაკრების ფეხბურთელებს ჩემპიონატებშიც გვიწევს მსგავს მინდვრებზე თამაში, რა თქმა უნდა, ეს სასიამოვნო ნამდვილად არაა, მაგრამ მეტოქესაც იგივე საფარზე მოუწევს თამაში, ამიტომ ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს და უნდა ვაჯობოთ მოწინააღმდეგეს.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ერთა ლიგის მომდევნო 2 შეხვედრისთვის ასეთია:

მეკარეები: გიორგი ლორია (უგუნდო), როინ კვასხვაძე (ტორპედო), ლაზარე კუპატაძე (საბურთალო);

მცველები: ოთარ კაკაბაძე (ლუცერნი, შვეიცარია), სოლომონ კვირკველია (ლოკომოტივი, რუსეთი), დავით ხოჭოლავა (შახტარი, უკრაინა), გურამ კაშია (სან ხოსე, აშშ), ლაშა დვალი (პოგონი, პოლონეთი), გიორგი ნავალოვსკი (დინამო, ბელარუსი), ჯიმი ტაბიძე (უფა, რუსეთი);

ნახევარმცველები: ჯაბა კანკავა, ნიკა კვეკვესკირი (ორივე ტობოლი, ყაზახეთი), გიორგი აბურჯანია (ლუგო, ესპანეთი), ვაკო გვილია (ლუცერნი, შვეიცარია), ოთარ კიტეიშვილი (შტურმი, ავსტრია), გიორგი მერებაშვილი (პლოცკი, პოლონეთი), გიორგი ჩაკვეტაძე (გენტი, ბელგია), ვაკო ყაზაიშვილი (სან ხოსე, აშშ), ლუკა ზარანდია (არკა, პოლონეთი), ვახტანგ ჭანტურიშვილი (ტრნავა, სლოვაკეთი), გიორგი ხარაიშვილი (გეტებორგი, შვედეთი);

თავდამსხმელები: ნიკა კაჭარავა (ანორთოსისი, კვიპროსი), ბაჩანა არაბული (პუშკაშ-აკადემია, უნგრეთი).

შეგახსენებთ, რომ უეფას ერთა ლიგის გათამაშებაზე, 4 ტურის შემდეგ, ანდორას 2 ქულა აქვს და ბოლო ადგილზე იმყოფება. საქართველო 12 ქულით ჯგუფის ლიდერია. საქართველოსა და ანდორას პირველი მატჩი თბილისში ჩვენი გუნდის სასარგებლოდ 3:0 დასრულდა.

გია ცეცაძე ახალი ციკლისთვის მზადებას იწყებს

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩები დაასრულა და ახალი ციკლისთვის მზადება დაიწყო. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ სწრაფად იმუშავა და ახალგაზრდული ნაკრებისთვის 2 ამხანაგური მატჩი დაგეგმა: 16 ნოემბერს გია ცეცაძის გუნდი უკრაინის 21-წლამდელთა ნაკრებს ესტუმრება, ხოლო 20 ნოემბერს კვიპროსს.

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა უკვე დაასახელა იმ ფეხბურთელთა სია, რომლებიც ზემოხსენებული მატჩებისთვის მოემზადებიან. აღსანიშნავია, რომ გამოძახებულთა შორის არის გიორგი არაბიძე, რომელიც გარკვეული დროით ჩამოშორებული იყო როგორც ეროვნულ, ისე ახალგაზრდულ ნაკრებს.

ცეცაძის სია ასეთია:

მეკარეები: ლუკა გუგეშაშვილი (დილა), ლუკა სანიკიძე (თელავი), დავით კერესელიძე (ცხინვალი);

მცველები: ზაურ კერელეიშვილი (კოლხეთი), შალვა ბურჯანაძე (ტორპედო), ლუკა ლოჩოშვილი, დავით კობოური, ლუკა ქაფიანიძე (ყველა დინამო თბ), ალექსანდრე ანდრონიკაშვილი (ლოკომოტივი), ლუკა სილაგაძე (რუსთავი), ლუკა ლაკვეხელიანი (საბურთალო);

ნახევარმცველები: დავით სამურკასოვი, რატი არდაზიშვილი, თორნიკე ძებნიაური (ყველა ლოკომოტივი), გიორგი კუცია, ნიკა ნინუა (ორივე დინამო თბ), თამაზ შალიკაშვილი (კოლხეთი), თემურ ჩოგაძე (რუსთავი), გიორგი არაბიძე (ნასიონალი, პორტუგალია), ლაშა ლეჟავა (სიონი);

თავდამსხმელები: ირაკლი ბუღრიძე (ჩიხურა), ვატო არველაძე (კორონა, პოლონეთი), ბექა ქავთარაძე (რუსთავი).

გიორგი ქინქლაძე: „სიტის ფანების ხმა ახლაც მახსოვს“

დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში გიორგი ქინქლაძე ყველაზე ნიჭიერ ფეხბურთელად ითვლებოდა. მართლაც, ქინქლაძეს გაცილებით წარმატებული კარიერა უნდა ჰქონოდა იმასთან შედარებით, რაც ითამაშა. არ გამოვიდა. არცთუ ხშირად იხსენებს ქინქლაძე წარსულს, მაგრამ როდესაც მედიასთან საუბრობს, თავადაც გულისტკივილით ამბობს, რომ მეტი შეეძლო.

თუმცა, ქართველი ნახევარმცველი დიდი დროის შემდეგაც კი ისევ რჩება მანჩესტერ სიტის გულშემატკივართა საყვარელ ფეხბურთელად.

ბრიტანულმა გამოცემამ დეილი მეილმა, რომელიც ძალიან პოპულარული და ავტორიტეტულია, ქინქლაძესთან ვრცელი ინტერვიუ ჩაწერა, რომელიც სწორედ სიტიში გატარებულ პერიოდს შეეხო.

გიორგი ქინქლაძე:

– ბედნიერი ვარ, რომ ფეხბურთი ინგლისში ვითამაშე. თავიდან რომ მქონდეს შანსი, სათამაშოდ ისევ ინგლისს ავირჩევდი. დღეს ვუყურებ სიტის თამაშებს და ზოგჯერ ვფიქრობ, რომ ჩემთვის შესაფერისი გუნდი იქნებოდა. ეს არის ნამდვილი ფლეისთეიშენის გუნდი, არა? სილვადან, სტერლინგამდე, დე ბრუინამდე... ბუმ, ბუმ, ბუმ. ბურთი თუ მექნებოდა, აგუეროს ისე მივცემდი პასს, რომ მისი შეხედვა არც დამჭირდებოდა.

ყველა ფიქრობს, რომ გვარდიოლას გუნდში თამაში მარტივია, მაგრამ ასე არაა, ეს არაა ადვილი. ყოველ თამაშზე 100%-ით უნდა დაიხარჯო. მესიც კი, თუ კარგად ვერ ითამაშებდა, სკამზე აღმოჩნდებოდა. ყველაზე მნიშვნელოვანია, როდესაც ფანების აპლოდისმენტების ხმა გესმის. შესაბამისად, კარიერის დასრულების შემდეგ მთავარია, რომ ეს გახსოვდეს. მეც მათი ხმა გუშინდელი დღესავით მახსოვს.

მანჩესტერ სიტის ქომაგია პოპულარული როკ ჯგუფის, ოაზისის სოლისტი **ნოელ გალაჰერი:**

– ვფიქრობდი, ღმერთო, ქინქლაძე ყველაზე საშინელია ან საუკეთესო, ვინც კი ოდესმე საფეხბურთო მოედანზე მინახავს.

ნოელ გალაჰერის ამ სიტყვებიდან 19 წლის შემდეგ მეორე ძმა, ლიამი, სიტის ჩემპიონობას აღნიშნავდა სასტუმრო ჰილტონის ბარში და ქინქლაძეს მაშინ შეხვდა.

გიორგი ქინქლაძე:

– თავიდან ჩემს ფეხსაცმელზე იცინოდა. შემდეგ გადამეხვია, მაკოცა და დაიწყო სიმღერა „ვანდერვულ“, მაგრამ სხვა სიტყვებითა და ინტერპრეტაციით. ეს შესანიშნავი იყო, რადგან ეს იყო მისი, ჩემი და საერთოდ, სიტის სიმღერა.

სიტის ფანებისა და ქინქლაძის სიყვარულის ისტორია უნიკალურია. იშვიათი შემთხვევაა, აღმერთებდე ისეთი ცუდი გუნდის, როგორიც მაშინ სიტი იყო, ფეხბურთელს.

– მცველები ამბობდნენ, რომ ფეხებს მომამტვრევდნენ, მაგრამ რაც მეტი იყო მცველი, ჩემთვის უკეთესიც გახლდათ, შემეძლო მათ შორის გავლა. ინგლისურად არ ვსაუბრობდი და ვარჯიშზე სიტის მაშინდელი მწვრთნელი ალან ბოლი ამბობდა – მიეცით ბურთი გიოს! ეს იყო უდიდესი პასუხისმგებლობა, ვცდილობდი ჩემი საუკეთესო მეჩვენებინა, მაგრამ ზოგჯერ არ გამოგვდიოდა. მაგალითად, ერთხელ 11 ტურის შემდეგ მხოლოდ 2 ქულა გვქონდა.

დეილი მეილი წერს, რომ ქინქლაძე ინგლისში სპორტულ ლტოლვილად ჩავიდა საქართველოდან, სადაც ომი იყო. ის გაზარდა ფეხბურთზე სიგიჟემდე შეყვარებულმა მამამ და იმ თბილისის დინამოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი იყო, რომლის პრეზიდენტმა გუნდის ლიდერები გაყიდა, რადგან მათ უსაფრთხოებაზე ზრუნავდა.

სანამ ინგლისში გადავიდოდა, ქინქლაძე გერმანიისა და ესპანეთის ნაცვლად, ბოკა ხუნიორსში აღმოჩნდა, სადაც თვით დიდი დიეგო მარადონა დაბრუნდა:

– დიეგო კარიერიას ასრულებდა, მაგრამ ბოკაში დაბრუნდა და ჩემს პოზიციაზე თამაშობდა. ვუყურებდი და ვფიქრობდი: ეს ჩემი გმირია, არ შემიძლია მასთან კონკურენცია... და დავბრუნდი საქართველოში.

ქინქლაძე საქართველოს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე უელსის ორჯერ დამარცხებაში დაეხმარა. მეორე გამარჯვებაში მისი წვლილი დიდი იყო, რადგან ნევილ საუთჰოლს 20 იარდიდან ბურთი თავზე გადაუგდო. ეს გადამწყვეტი აღმოჩნდა როგორც მატჩის მოსაგებად, ისე სიტის პრეზიდენტ ფრენსის ლისთვის, რომელმაც 2 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადა, რომ ქინქლაძე ინგლისში წაეყვანა.

– სადილზე დამპატიჟა. ჩემი სამუშაო უბრალო იყო. ვარჯიში, თამა-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

უეფა სუპერლიგის წინააღმდეგია, თუმცა ალტერნატივა არ აქვს

როგორც ცნობილია, ევროპის ტოპ-კლუბები ახალი, სუპერლიგის შექმნას აპირებენ – საუბარია დახურულ კომერციულ ტურნირზე, რომელმაც 2021 წლიდან ჩემპიონთა ლიგა უნდა შეცვალოს. ეს სულაც არ იმოქმედებს კარგად უეფას იმიჯზე. ამიტომაც, ევროპის მთავარი საფეხბურთო ორგანო სულაც არ აპირებს მათ „შემოქმედებას“ უყუროს და უკვე ფიქრობს, როგორ გადადგას საპირისპირო ნაბიჯები.

ესპანური მედიის ინფორმაციით, უეფა მზადაა, მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანოს მისი ეგიდით მიმდინარე ტურნირების რეგლამენტში. მათ შორის უმნიშვნელოვანესი კი ჩემპიონთა ლიგის მატჩების სამშაბათ-ოთხშაბათის ნაცვლად, უქმეებზე გამართვის იდეაა. ამ შემთხვევაში, სანაკრებო შეხვედრები სამუშაო დღეებში ჩატარდება.

უეფას ჩანაფიქრს არ იწონებენ ევროპის წამყვანი ლიგების მესვეურები. ესპანური პრიმერის, ინგლისური პრემიერლიგის, გერმანული ბუნდესლიგისა და იტალიური სერია ა-ს ხელმძღვანელები უარს ამბობენ ახალ განაწესსზე და შესაბამისი წერილი უეფაში გადაგზავნეს.

შეგახსენებთ, რომ ევროპულ სუპერლიგაში, ტურნირის დამფუძნებელ 10 კლუბს ადგილი მუდმივად ექნება. ესენი არიან: რეალი, ბარსელონა, მანჩესტერ იუნაიტედი, ჩელსი, არსენალი, მანჩესტერ სიტი, ლივერპული, პსჟ, იუვენტუსი და ბაიერნი.

მათ მოწვეული სტუმრის სტატუსით დაემატება კიდევ 5 გუნდი, რომლებიც გავარდნისგან დაზღვეულნი არ იქნებიან. ესენია: ატლეტიკო, ბორუსია, მარსელი, ინტერი და რომა.

გეტყვით იმასაც, რომ ფიფას პრეზიდენტის ჯანი ინფანტინოს განცხადებით, სუპერლიგის შექმნის შემთხვევაში, ფეხბურთელები, რომლებიც ახალ ტურნირში ითამაშებენ, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე არ დაიშვებიან.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ᲙᲝᲚᲔᲒᲔᲑᲛᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲗᲐᲜᲮᲘᲗ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲛᲝᲘᲒᲔᲡ

ამერიკის მაჩიგანის შტატში ერთ-ერთი კომპანიის თანამშრომლებმა ფული შეაგროვეს და შეიძინეს ლატარიის ბილეთები, რის შედეგადაც მილიონი დოლარი მოიგეს.

– როდესაც ჯეკპოტები ლატარიებში მეგა მილიონსა და პოუვერბოლში სერიოზული გახდა, უფროსმა გვითხრა, ფული შეგვეგროვებინა და დაგვპირდა, რომ ჩვენ თანხას გააორმაგებდა, – განაცხადა ლატარიის კლუბის ერთ-ერთმა წევრმა. მასში მონაწილეობაზე უარი მხოლოდ სამმა თანამშრომელმა განაცხადა.

ჯამში მათ 212 დოლარის შეგროვება შეძლეს. ბილეთების საყიდლად ერთ-ერთი თანამშრომელი გააგზავნეს. მას ორივე ლატარიის თანაბარი რაოდენობის ბილეთები უნდა შეეძინა, მაგრამ მას აერია და მთელი თანხით მეგა მილიონის ლატარიის ბილეთები შეიძინა. მომგებიანი კი სწორედ შეცდომით შეძენილი იმ ზედმეტი ბილეთებიდან ერთ-ერთი გამოდგა.

კოლეგები ადრევე შეთანხმდნენ, რომ მოგებას თანაბრად გაიყოფდნენ, იმის მიუხედავად, თუ ვინ რა ოდენობის თანხა დადო. ლატარიისთვის ფული სულ 21 ადამიანს ჰქონდა დადებული და ახლა თითოეული მათგანი დაახლოებით 47,6 ათას დოლარს მიიღებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲧᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲘᲜᲓᲐ

ნორვეგიაში გამართულ ყველის საერთაშორისო კონკურს World Cheese Awards-ზე ექსპერტებმა მსოფლიოს საუკეთესო ყველი გამოავლინეს.

მთავარი პრემია ნორვეგიულმა ყველმა ფანაუსტმა მიიღო, რომელსაც ქალაქ ბერგენის მახლობლად აწარმოებენ. მეორე ადგილი ასევე ნორვეგიულ ყველ ჰელფეიტს ერგო. ის ტრადიციული ყავისფერი თხის ყველია, რომელიც ტელემარკის პროვინციაში სტურდალენ გარდსბრიუკის ფერმაში მზადდება.

ნორვეგიამ კონკურსზე ყველის 175 სახეობა წარმოადგინა. ასევე ყველის სახეობების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდნენ ისეთი ქვეყნები, როგორებიც არიან იტალია, შვეიცარია, საფრანგეთი და გერმანია.

სპეციალისტებს თითქმის სამიათასნახევარი სახეობის ყველის შეფასება მოუხდათ, რომლებიც 41 ქვეყნიდან იყო წარმოდგენილი. ექსპერტების გარდა, ჟიურის შემადგენლობაში ასევე შედიოდნენ ბლოგერები, ჟურნალისტები, მუზეუმების წარმომადგენლები და ყველის სხვა დამფასებლები, რომელთაც გასტრონომიასთან პირდაპირი შეხება არ გააჩნიათ. ისინი პროდუქტს აფასებდნენ მრავალი პარამეტრების მიხედვით: გარეგნული სახე, კანის ხარისხი, ძირითადი თვისებები (სითხის შემცველობა, ცხიმიანობა, ფერი, კონსისტენცია) და გემო.

ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲣᲠ ᲛᲐᲠᲬᲧᲕᲔᲑᲨᲘ ᲜᲔᲛᲡᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲓᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲥᲐᲚᲘ ᲓᲐᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲡ

ავსტრალიაში დააპატიმრეს პიროვნება, რომელიც სამკერვალო ნემსების მარწყვებში ჩადებას უკავშირდება, რომლითაც ქვეყნის სუპერმარკეტები მარაგდებოდა. ამ ინფორმაციას კვინსლენდის შტატის პოლიცია ავრცელებს.

კომპლექსური გამოძიების შედეგად 50 წლის ქალი იქნა დაპატიმრებული. უახლოეს ხანში მას ბრალდებას წაუყენებენ და ის სასამართლოს წინაშე მალე წარდგება.

აღნიშნულ საქმეზე რამდენიმე რეგიონის ხელისუფლება, ძალოვანი უწყებები და დაზვერვის სამსახურები მუშაობდნენ. აღსანიშნავია, რომ გამოძიება ისევ გრძელდება.

გამოძიების მიმდინარეობის სხვა დეტალები უცნობია, ასევე არაფერია ნათქვამი ეჭვმიტანილი ქალის მოტივებსა და ამ საქმეში უშუალოდ მის როლზე. ასევე არ სახელდება, თუ რა სახის ბრალდება იქნება მის მიმართ წაყენებული.

ᲣᲘᲨᲕᲘᲐᲗᲔᲡᲘ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲞᲘᲟᲐᲛᲝᲗᲘ ᲓᲐᲓᲘᲡ

დიდ ბრიტანეთში ცხრა წლის გოგონა იძულებულია, სკოლაში პიჟამოთი იაროს, ვინაიდან მას სკოლის ფორმაზე ალერგია აქვს.

ლილი მეისონი, რომელიც ნოტიჰგემის საგრაფოს სოფელ კივორტის მკვიდრია, იშვიათი დაავადებით – უჯრედების აქტივაციის სინდრომით იტანჯება, რის გამოც მისი იმუნური სისტემა ზემგრძნობიარე ხდება და სხვადასხვა გამღიზიანებელზე რეაგირებს.

ოქტომბერში ცხრა წლის გოგონას ალერგია სასკოლო ფორმაზე დაეწყო. მას მთელ სხეულზე გამოაყარა. ამის გამო დედამ გადაწყვიტა, ბავშვი სკოლაში რბილი პანდას სახის პიჟამოთი გაეშვა, რომელიც ლილის კანს არ აღიზიანებს.

– ზოგიერთი სახის ქსოვილი მასში გაღიზიანებას იწვევს, მაგრამ მისი მდგომარეობა იმდენად სწრაფად იცვლება, რომ ყველა ალერგიული გამოვლინებისთვის თვალის მიდევნება შეუძლებელია. ერთ დღეს რომ ყველაფერი კარგადა, მეორე დღეს ცუდია, – განმარტავს გოგონას დედა.

სიმპტომების გამწვავების დროს ბავშვი იძულებული ხდება, მხოლოდ პიჟამა ატაროს, სპეციალურ ბალიშებზე იჯდეს და ტკივილგამაყუჩებლები მიიღოს. ლილის მხოლოდ ცხრა პროდუქტის ჭამა შეუძლია, რომლებიც მასში ალერგიას არ იწვევს.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲥᲘᲜᲭᲚᲐᲫᲔ: „ᲡᲘᲢᲘᲡ ᲤᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲮᲛᲐ ᲐᲮᲚᲐᲪ ᲛᲐᲮᲡᲝᲕᲡ“

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ში და მანქანა უნდა მეტარებინა მარცხენა მხრიდან. ვარჯიშზე რამდენჯერმე დავაგვიანე, რადგან ქუჩები არ ვიცოდი. არც ინგლისური ენის გაკვეთილები მქონია. გასახდელში ყველაფერს ვიგებდი, მათ შორის სალანძღავ სიტყვებსაც. ქალაქი შესანიშნავი იყო, ხოლო „მეინ როუდზე“ საოცარი ატმოსფერო – ბევრად უკეთესი, ვიდრე ახალ სტადიონზე. ყოველთვის ივსებოდა, ხალხი ქვედა ლიგაში მოდიოდა ჩვენ საქმიგოდ.

1995-96 წლების სეზონის ბოლო ტურში სიტიმ ლივერპულთან 2:2 ითამაშა, მაგრამ ვერ გადარჩა. „ქალაქელებმა“, ქოვენთრიმ და საუთჰეპტონმა 38-38 ქულა დააგროვეს, მაგრამ ბურთების უარესი ბალანსი გამო პრემიერლიგიდან მანჩესტერელები გავარდნენ. არადა, მატჩის მიმდინარეობისას ფეხბურთელებს ეგონათ, რომ ყველაფერი კარგად იყო და ბოლო წუთზე კუთხურის ალამთან დრო გაჰყავდათ.

– ეს ძალიან სამწუხარო იყო. სტივ ლომასს დრო გაჰყავდა კუთხურის ალამთან, ვიღაც მეუბნება – გიო, ყველაფერი კარგადაა. ამ დროს, ხალხმა ყვირილი დაიწყო, მაგრამ რეაგირებისთვის უკვე ძალიან გვიანი იყო. 23 წელი გავიდა, მაგრამ ეს თამაში ისევ მახსოვს. ინგლისში მოსაგებად ჩავედი და... გასახდელში მკვდარივით ვიყავი, ვტიროდი, ვფიქრობდი...

ქინქლაძემ სიტიში გადასვლის შემდეგ ფერარის ძვირადღირებული მანქანა შეიძინა, რომლის ყიდვას კლუბის პრეზიდენტი არ ურჩევდა, მაგრამ არ დაუჯერა. საბოლოოდ, ქართველი ამ ავტომობილით ავარიაში მოყვა:

– ფრენსის ლი მირჩევდა, რომ ეს მანქანა არ მეყიდა, მაგრამ არ მოვუსმინე. რა თქმა უნდა, შემდეგ სხვა მანქანა ვიყიდე.

ქინქლაძე ყველას არ უყვარდა. მაგალითად, თავდამსხმელმა **პოლ უილშიმ** თქვა, რომ სიტის პრობლემა ქართველი იყო:

– ქინქლაძე სიტის პრობლემების კატალიზატორია. გოლები ვერ გაჰქონდა, თავით ვერ თამაშობდა და მისი როლი გუნდში გაბუქებულია.

კიდევ ერთი თავდამსხმელი, გერმანელი **უვე როსლერიც** დაახლოებით იგივე აზრზეა:

– ტექნიკურად უძლიერესი იყო, ასეთთან არასდროს მითამაშია. ხალხი მისი თამაშის სანახავად დადიოდა სტადიონზე. თუმცა, გვარდიოლას დღევანდელ გუნდში ვერ ითამაშებდა, რადგან ყველა სამუშაოს ვერ შეასრულებდა.

გიორგის პასუხი ამ კომენტარებზე ასეთია:

– არ ვიცი, რას ამბობდნენ ზურგს უკან, არასდროს მიგრძნია ეჭვიანობა და შური. შესაძლოა, რამდენიმე მათგანს უნდოდა ჩემსავით ეთამაშა, არ ვიცი... თუმცა, შემტევი ფეხბურთელი ვიყავი, ამიტომ ბურთი ხშირად მქონდა. არ ვიყავი მცველი, ხომ სიმართლეა? მოედანზე 11 ფეხბურთელი გავდიოდით, არამარტო მე. შეხედეთ დღევანდელ სიტის, 6 შემტევი ფეხბურთელით თამაშობს – 6-ით! არა მგონია, რომ სილვა, დე ბრუინი, სტერლინგი და სანე დაცვაში ხშირად ჩადიოდნენ და იბრძოდნენ.

შესაძლოა, ამ სიტყვებით ქინქლაძემ დააადასტურა როსლერის სიტყვები.

1997 წლის ზაფხულში ქართველი მანჩესტერ იუნაიტედს უნდოდა. „ქალაქელებმა“ ის სეზონი მე-14 ადგილზე დაასრულეს და 3 მწვრთნელიც გამოცვალეს – ალან ბოლი, სტივ კოპელი და ფრანკ კლარკი.

მანჩესტერ იუნაიტედის გარდა, სიტის ფლეიმეიქერს რამდენიმე გუნდი ეპატიჟებოდა, მაგრამ ყველას გასაოცრად, ის დარჩა. რედინგთან მატჩის შემდეგ 25.000-მა ქომაგმა პეტიციას ხელი მოაწერეს და ქინქლაძეს სთხოვდნენ, რომ სიტიში დარჩენილიყო. შესაძლოა, რამდენიმე ფეხბურთელს ამიტომაც შეშურდა, მათ შორის, როსლერსაც.

– დავრჩი იმიტომ, რომ ფანები ჩემდამი ლოიალურები იყვნენ და მინდოდა ასევე მეპასუხა. ვფიქრობდი, რომ პრემიერლიგაში დავბრუნდებოდით. შემეძლო წასვლა და ორმაგი ხელფასის აღება. 1 წლის შემდეგ აიაქსში გაორმაგებული ხელფასი მქონდა, მაგრამ მთავარი ფული არ ყოფილა, სიყვარული იყო. მანჩესტერ იუნაიტედი? დიახ, ინტერესი იყო. და გაცილებით პოპულარული გავხდებოდი, ასე არაა? მაშინ სიტისთვის რთული ეპოქა იყო, იუნაიტედში თამაში კი ყველას უნდოდა, მაგრამ ტიტულების მოგებაზე არც ვფიქრობდი, როდესაც იუნაიტედის წინადადება მოვიდა, იქ გადასვლაზე არც მიფიქრია, რადგან ის ჩვენი მთავარი მეტოქე იყო.

ქინქლაძის მესამე სეზონში იმედი არ დაბრუნებულა. სიტი ჩემპიონლიგიდანაც გავარდა. ახალი მთავარი მწვრთნელის, ჯო როილის გეგმებში ქართველი ფეხბურთელი არ ჯდებოდა. გიო მარცხენა ფლანგზე გადასწია, რაც მისთვის იდეალური ადგილი არ იყო.

– ვფიქრობ, ანდრეი კანჩელსკისში ავერრიე, – ასეთი პასუხი აქვს დღეს ქართველს ამ ყველაფერზე.

ქინქლაძემ სიტიში გატარებულ 3 სეზონში 20 გოლი გაიტანა და გულშემატკივრებს თავი შეაყვარა:

– მოწყენილი ვარ, რადგან აქ გამარჯვებისთვის გადმოვედი. დავმარცხდით, მაგრამ მიყვარს ეს გუნდი, ეს ქალაქი, რომელიც ჩემი მეორე სახლია. მიკვირს, რომ ხალხი ახლაც მაჩერებს ქუჩაში და მეუბნებიან – მადლობა იმისთვის, რაც გააკეთე. ეს შესანიშნავია და მნიშვნელოვანია. აქაური ხალხი ყოველთვის ოჯახივით იყო ჩემთვის. როგორც უკვე ვთქვი, საკმარისია, აპლოდისმენტებს მოუსმინო.

ᲐᲡᲢᲠᲝᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ

14 ნოემბრისათვის

ᲕᲔᲠᲫᲘ – დღეს სამოგზაუროდ ნუ წახვალთ. ნებისმიერი ვოიაჟით უკმაყოფილო დარჩებით. სიზმარი, სავარაუდოდ, წინასწარმეტყველური იქნება. **ᲙᲣᲠᲝ** – სოციალურ სფეროში ფართო პერსპექტივები ჩნდება. კეთილისმყოფელი დღეა სამომავლო გეგმების შესამუშავებლად. **ᲒᲣᲜᲯᲔᲑᲘ** – საოჯახო საქმეების მოგვარება დაუყოვნებლივ დაიწყეთ. მამაკაცები ფინანსებს გაუფრთხილდით. **ᲙᲘᲠᲩᲘᲜᲘ** – დასვენება გჭირდებათ. ოჯახში მშვიდი ატმოსფეროა. ბავშვებთან ურთიერთობა სიამოვნებას მოგანიჭებთ. **ᲚᲝᲛᲘ** – ცვლილებების დროა. ელოდეთ როგორც პოზიტივს, ისე – ნეგატივს. ნუ იაქტიურებთ. **ᲯᲐᲚᲒᲣᲚᲘ** – პასიური დღეა. ნუ გარისკავთ, განსაკუთრებით – ფინანსური კუთხით. **ᲡᲐᲡᲜᲝᲠᲘ** – ნებისმიერი საქმიანი კონტაქტი იღებლიანია. გელით რომანტიკული შეხვედრა. **ᲠᲘᲒᲘᲐᲜᲘ** – გარშემომყოფებთან ურთიერთობაში უფრო დამთმობი და მოსიყვარულე უნდა იყოთ. თქვენს მდგომარეობას ბოროტად ნუ გამოიყენებთ. **ᲛᲨᲕᲘᲚᲓᲝᲡᲐᲜᲘ** – მშვენიერი დღეა საყიდლებზე წასასვლელად. ზუსტად იმ ნივთს შეიძენთ, რომელიც ძალიან გამოგადგებათ. **ᲗᲔᲗᲘᲡ ᲠᲫᲐ** – ფულს იოლად ნუ დახარჯავთ. მხოლოდ აუცილებელი ნივთი შეიძინეთ. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად არაკეთილისმყოფელი პერიოდია. **ᲛᲔᲠᲬᲧᲣᲚᲘ** – ხელმძღვანელობა თქვენი მუშაობით კმაყოფილია. ნუ მოდუნდებით. ქებამ არ გაწყინოთ. **ᲗᲔᲗᲠᲯᲔᲑᲘ** – გადაღლილი ხართ. დაისვენეთ და ძალები აღიდგინეთ. ოჯახის წევრებთან კომპრომისზე წასვლა მოგიწევთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ᲯᲘᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ბ



შვეულად: 1. ზესტაფონის ძველი სახელწოდება; 2. ჯაზის ერთ-ერთი სტილი; 3. მკვეთრ კონტრასტებზე დამყარებული მხატვრული ხერხი ლიტერატურასა და ხელოვნებაში; 4. უდაბნოში მზარდი მცენარე; 5. ქართველი პიანისტი ქალი; 9. ფილიპინების დედაქალაქი; 12. მღვდლის ცოლი; 14. ლიხტენშტეინის დედაქალაქი; 15. ჭადრაკის ფიგურა; 17. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 18. ფასიანი ქაღალდების კურსის აწევა ბირჟაზე.

თარაზულად: 6. სასწრაფო სამუშაო გემზე, რომელიც სრულდება მთელი ეკიპაჟის მონაწილეობით; 7. მწვანეთა და ეკოლოგთა საერთაშორისო ორგანიზაცია; 8. საზღვაო მოგზაურობა; 10. საპატარძლოსათვის მირთმეული საქორწილო ნიშანი; 11. მეტისმეტად ხალისიანი, სიცოცხლით სავსე ადამიანი; 13. სასჯელი ქურდობისთვის ძველად საქართველოში; 16. წითელი ფერის ფრანგული სადესერტო ღვინო; 19. ცნობილი ქართველი მეან-გინეკოლოგი, აკადემიკოსი; 20. ჯუზეპე ვერდის ოპერა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ა

შვეულად: 1. ყუმი; 2. აპაჩი; 3. შრატი; 5. ნადუღი; 6. კემპინგი; 9. ესკადრილია; 10. ვანდალები; 11. ჯვრისწერა; 14. მეი; 16. ბატიკა; 18. „ლიდა“.

თარაზულად: 1. ყავარი; 4. დინამიკა; 7. სავანა; 8. ტრიბუნი; 12. აკაბა; 13. ომლეტი; 15. იდიოტი; 17. ნიუ; 19. აზერბაიჯანი; 20. ვახტი; 21. „სამაია“.

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ბ

შვეულად: 1. თემშარა; 2. ეგერი; 3. მერინოსი; 4. ბოღლიწო; 5. პანტომიმა; 9. ქონება; 12. მაშტოცი; 14. ლოკალი; 15. ვერე; 17. მტილი; 18. ლაპი.

თარაზულად: 6. „ბედეგი“; 7. თეოლოგია; 8. უშქარი; 10. კიაზო; 11. სარწყუნისი; 13. ღლიღვები; 16. ხანუმა; 19. ალკოჰოლი; 20. ლინოტიპი.

გოჩა ჩერტკოევი: „ვისაც ჰგონია, რომ ოსეთი რუსეთია, ტვინი დაუკარგავს“

განაცხადა მსახიობმა, პროდიუსერმა, მოცეკვავემ და ქორეოგრაფმა გოჩა ჩერტკოევმა „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ქართულ ტურში:

– პოლიტიკაში არასდროს ვერევი, მაგრამ ეს არ არის პოლიტიკა, ეს არის ფაქტი. ვისაც ჰგონია, რომ ოსეთი რუსეთია, ტვინი დაუკარგავს.

არც ერთ შემთხვევაში ეს არ იქნება და არასოდეს არ მოხდება. ჩემი სამშობლოა საქართველო, ჩემი ოსეთი საქართველოშია. ვისაც არ მოსწონთ, წავიდნენ რუსეთში!

საქართველოს 7 ქართული ფილმი დაუბრუნდა



რუსეთის ფილმსაცავ „გოსფილმოფონდში“ დაცული ქართული კინომემკვიდრეობა სამშობლოში ეტაპობრივად ბრუნდება. „გოსფილმოფონდი“ რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ფილმოფონდია და ის მსოფლიოს უდიდესი კინოარქივების სამეულში შედის.

პროექტის ფარგლებში საქართველოს 7 ფილმი დაუბრუნდა. საქართველოს ეროვნული კინოცენტრის ინფორმაციით, მეოთხე ეტაპზე, ქართულ მხარეს გადმოეცა ივანე პერესტიანის „არსენა ჯორჯიაშვილი“ და „სურამის ციხე“, ამო ბეკ-ნაზაროვის „მამის მკვლელი“, მიხეილ ჭიაურელის „ხაბარდა“, დავით რონდელის „დაკარგული სამოთხე“, გელა კანდელაკის „უბედურება“ და ნუცა ღოღობერიძის „უჟმური“.

ქართული დელეგაცია „გოსფილმოფონდში“ დაცული ქართული ფილმების საცავებში შენახვის პირობებს, მათი რესტავრაციისა და ბეჭდვის პროცესს ადგილზე გაეცნო. შემოწმდა ფილმების როგორც ორიგინალების, ასევე, პირველადი ასლებისა და სამუშაო პოზიტივების მდგომარეობა. ფილმოფონდის რესტავრატორების ჯგუფთან ერთად შეფასდა ჩატარებული სამუშაოები.

რუსეთიდან ქართული ფილმების პირველადი ასლების ჩამოტანა ეტაპობრივად მიმდინარეობს. საქართველოში უკვე 34 ქართული ფილმია დაბრუნებული. ფილმსაცავის აშენებამდე ისინი საქართველოს ეროვნულ არქივში იქნება დაცული.

თაკო ნაცვლიშვილმა იტალიური ჟურნალისთვის იპოზიორა

ქართველმა მოდელმა თაკო ნაცვლიშვილმა იტალიური ჟურნალისთვის იპოზიორა.

ლამაზმანი ლუქ მოდელს მენეჯმენტის მოდელია და მისი დედა სააგენტო საერთაშორისო ასპარეზზე კომპანია ნექსტია.

თაკო ფოტოგრაფმა სიმონე ფალცეტამ ჟურნალ „გრაციასთვის“ გადაიღო.

ახალი ფოტოსესიის ფოტოები ინტერნეტში გავრცელდა და ქართველმა მოდელმა დიდი მოწონება დაიმსახურა.

თაღლითობა უტა ბექაიას სახელით



ამერიკაში მცხოვრები ქართველი არტისტი უტა ბექაია თაღლითების მსხვერპლია.

მისი განცხადებით, სოციალურ ქსელში შექმნილია მისი სახელითა და გვარით ყალბი გვერდი, რომელიც უტა ბექაიას მეგობრებს ფულს სთხოვს:

– ჩემი სახელით ვიღაცამ გახსნა ფეისბუქი და ფულს ითხოვს. გთხოვთ დაარეპორტოთ და არავითარ შემთხვევაში არ მისცეთ ფული.

სამწუხაროდ, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც სოციალურ ქსელში ცნობილი ადამიანის სახელითა და გვარით გვერდი იქმნება და შემდეგ რეალური ადამიანის მეგობრებისგან კონკრეტულ ანგარიშზე ფულის ჩარიცხვას ითხოვს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

იაპონელი შეფმზარეული მდუღარე ზეთში ხელებს უპრობლემოდ ურევს

იაპონელი შეფმზარეული შუჯი ნიიტოკმე ქალაქ ნაგოიადან, ცნობილი იმის წყალობით გახდა, რომ ის პროდუქტების შეწვის დროს მათ შიშველი ხელებით ურევს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ნიიტოკმემ ეს თვისება 20 წლის წინ შეიძინა, როდესაც ტემპურის მომზადებისას ხელები მდუღარე ზეთში ჩაჰყო, რათა მისთვის იდეალური ტემპერატურა უზრუნველეყო და მას შემდეგ მას ტკივილი აღარ უგრძნია.

აღსანიშნავია, რომ მზარეულს შეუძლია ეს პროცედურა ყოველდღე გაიმეოროს და ამ დროს არავითარ დისკომფორტს არ განიცდის.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნინო სუხიშვილი: „საქართველოს მთლიანობა არ წარმომიდგენია ოსეთისა და აფხაზეთის გარეშე“

ანსამბლ „სუხიშვილების“ ხელმძღვანელმა ნინო სუხიშვილმა მცოცავი ოკუპაციის თემაზე „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ქართულ ტურში ისაუბრა:

– მცოცავი ოკუპაცია გრძელდება, დღეს ოსეთთან არის პრობლემა. ეს არის მხარე, რომელიც საქართველოს ტერიტორიაა. ჩვენ ყოველთვის ვცხოვრობდით ერთად, ჩვენ ვართ მოძმე ერები, ჩვენ გვაქვს ბევრი საერთო.

ძალიან დიდი გულისტკივილია, ჩემი და მთელი ჩვენი ერის, რომ ეს გრძელდება დღეს და წკიპშია, ნელ-ნელა მოდის და მოცოცავს ოკუპაცია. დღეს ქართული ცეკვა ოსური ცეკვის გარეშე არ არსებობს, ეს არის ჩვენი პროგრამის მარგალიტი. საქართველოს მთლიანობა არ წარმომიდგენია ოსეთის და აფხაზეთის გარეშე.

იური მეჩითოვი: „არ გამიჭირდება საჯარო ბოდიშის მოხდაც“



ფოტოგრაფი იური მეჩითოვი მზად არის რომელიმე ტელევიზიით საჯარო ბოდიში მოიხადოს. ეს განცხადება მხოლოდ „რუსთავი 2“-ს არ ეხება:

– ჩემო საყვარელო ხალხო! მე ძალიან ვწუხვარ, რომ ბევრ ადამიანს, მათ შორის ჩემს მეგობრებს, უნებურად ვატკინე გული. არ მინდა თავის მართლება, მიუხედავად იმისა, რომ მაქვს არგუმენტები. არ გამიჭირდება საჯარო ბოდიშის მოხდაც რომელიმე ტელევიზიით, რუსთავი 2-ის გარდა. მაინც რომ იქონიოთ წარმოდგენა, რას ვეყრდნობოდი მე ჩემს განცხადებაში, პირადი გამოცდილების გარდა, გთავაზობთ ძალიან ავტორიტეტული და ნამდვილად იმ დროისთვის დამოუკიდებელი ანატოლი სობჩაკის კომისიის დასკვნას. ქართული ვარიანტი ინტერნეტში ვერ ვიპოვე, – განაცხადა ფოტოგრაფმა სოციალურ ქსელში და ანატოლი სობჩაკის კომისიის დასკვნა გაავრცელა, სადაც წერია, რომ 9 აპრილს მომიტინგეები ასფიქსიით დაიღუპნენ.

თავისუფალი თეატრი „თოჯინების სახლს“ ბოლოჯერ ითამაშებს

თავისუფალი თეატრი რეჟისორ ვანო ხუციშვილის სპექტაკლს „თოჯინების სახლი“ ბოლოჯერ ითამაშებს.

„თოჯინების სახლი“ ვანო ხუციშვილის არაჩვეულებრივი რეჟისორული დებიუტია, რომელმაც 7 წელი გაძლო „თავისუფალი თეატრის“ სცენაზე.

თამუნა ნიკოლაძე, გიორგი ზანგური, ბაჩო ჩაჩიბაია, ნინო ფილფანი, მაია ხორნაული და დევი ბიბილეიშვილი თავისუფალი თეატრის სცენაზე ამ სპექტაკლის სათამაშოდ ბოლოჯერ დადგებიან.

– სპექტაკლი ცოცხალი ორგანიზმია და ისიც ბერდება. ხუთშაბათს, 15 ნოემბერს გამოვეთხოვოთ „თავისუფალი თეატრის“ ერთ-ერთ საუკეთესო სპექტაკლს, მადლობა ვუთხრათ რეჟისორს, მხატვარ თეო კუხიანიძეს, კომპოზიტორ გიორგი ჯიქიას და ყველა მსახიობს იმ თეატრალური ბედნიერებისათვის, რომელსაც 7 წელი გვაზიარებდნენ, – ნათქვამია თავისუფალი თეატრის ოფიციალურ განცხადებაში.

უშანგი ჩხეიძის პორტრეტი ხელოვნების სასახლეს გადაეცა

მეოცე საუკუნის გამორჩეული ქართველი ფერმწერის კორნელი სალაძის მიერ დახატული უშანგი ჩხეიძე ჰამლეტის როლში ხელოვნების სასახლეს გადაეცა.

მონუმენტური და შთამბეჭდავი პორტრეტი თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმის კუთვნილება ოჯახთან მოლაპარაკებების შემდეგ გახდა.

უშანგი ჩხეიძე ქართული თეატრის კაშკაშა ვარსკვლავია. იგი თავისი კარიერის განმავლობაში ინტენსიურად განასახიერებდა შექსპირის უკვდავი ნაწარმოების „ჰამლეტის“ მთავარ პერსონაჟს. ჰამლეტის გმირი მსახიობმა პირველად 1925 წელს ითამაშა და უდიდესი პოპულარობა სწორედ ამ როლით მოიპოვა.

პენსიონერმა გააფთრებული დათვის თავდასხმა შიშველი ხელებით მოიგერია

აშშ-ში მშიერი დათვი 78 წლის ამერიკელ სონი პამფრის პირდაპირ მის სახლთან დაესხა თავს.

ინციდენტი ჩრდილოეთ კაროლინას შტატის ჰეივუდის ოლქში მოხდა. პენსიონერი სახლთან მისასვლელ ბილიკზე გამოვიდა და ამ დროს შავი დედა დათვი და მისი ორი ბელი შენიშნა. ადამიანის დანახვისთანავე ბელები გაიქცნენ, ხოლო გააფთრებული დათვი პამფრის დაეძგერა.

– მე და ის მტაცებელი პირისპირ შევეჩეხეთ ერთმანეთს. მე მას პირველმა დავარტყი და ჩემი მუშტი პირდაპირ ცხვირში მოხვდა, ამის შემდეგ ის დაჯდა და ჩემთვის კბენას შეეცადა, – განაცხადა სონიმ.

ის დათვის ცემას აგრძელებდა, თუმცა მტაცებელმა მაინც მოახერხა მისთვის თეძოს არეში ეკბინა. მამაკაცი ორთაბრძოლამ დაღალა, ცხოველმა პენსიონერს პირი სტაცა და ნჯღრევა დაუწყო, შემდეგ გაუშვა და ისეთი ძალით ჩასცხო ტორი, რომ მამაკაცი ორი მეტრის მანძილზე მოისროლა.

ხმაური სონის მეუღლემ ბეტიმ გაიგონა. ის გაოგნდა, როდესაც სახლის წინ დათვი დაინახა. ქალი თავის პატარა ძაღლთან ერთად გარეთ მეუღლის დასახმარებლად გამოვარდა.

– დავინახე, რომ დათვი წამოიმართა, თათი უკან გადასწია, პირი დააღო და თავისი ეშვები გამოაჩინა. მივხვდი, რომ შეიძლება ჩემი მეუღლე დაღუპულიყო, – განაცხადა ქალმა. ის გაოგნებისგან ძაღლმა გამოიყვანა, რომელმაც ყეფა ატეხა, ქალმა მთელი ძალით დაიყვირა, ცხოველს კი ამ ხმაურის შეეშინდა და გაიქცა.

ბეტიმ პისტოლეტს სტაცა ხელი და გაქცეულ ცხოველს ესროლა. ამის შემდეგ მან სამაშველო სამსახურში დარეკა. შემთხვევის ადგილზე მისულმა ექიმებმა პენსიონერს სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს. მას ასევე ცოფის საწინააღმდეგო მკურნალობის კურსის გავლა მოუწევს.

სატყეოს ხელმძღვანელობა დათვის დაჭერას შეეცადა, მაგრამ მის კვალს ვერ მიაგნეს. მათ მოსახლეობას მეტი სიფრთხილისკენ მოუწოდეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

14 ნოემბრისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7166	ევრო — 3.0602
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4900	100 რუსული რუბლი — 4.0401

ამინდის პროგნოზი 14 ნოემბრისთვის

გეტებორგი გიორგი ხარაიშვილის გამოსყიდვას აპირებს



შვედური გუნდი გეტებორგი გიორგი ხარაიშვილის გამოსყიდვას აპირებს, რადგან ხარაიშვილი ძალიან კარგ სეზონს ატარებს და მის ანგარიშზე უკვე 9 გატანილი გოლია. ამჟამად ხარაიშვილი გეტებორგში იჯარის წესით თამაშობს და შვედური გუნდი მის ყიდვას 300 ათას ევროდ აპირებს.

ხარაიშვილი 22 წლის არის და ის საქართველოში ერთ-ერთ პერსპექტიულ ახალგაზრდა ფეხბურთელად ითვლება. გეტებორგამდე ის საბურთალოს ღირსებას იცავდა, სადაც გუნდის ლიდერი იყო.

ჯო კოულმა საფეხბურთო კარიერა დაასრულა



ცნობილმა ინგლისელმა ფეხბურთელმა ჯო კოულმა საფეხბურთო კარიერა დაასრულა. კოული 37 წლის არის და, მისი თქმით, მოვიდა დრო, როცა მან ბუცები ლურსმანზე უნდა ჩამოკიდოს.

– ძალიან გამიმართლა, რომ ფეხბურთში 20 წელიწადი გავატარე და ეს საოცარი წლები იყო, მაგრამ ვხედავ, რომ სხეული აღარ მაძლევს საშუალებას, მაღალ დონეზე ვითამაშო, ამიტომ ჯობია, ფეხბურთს შევეშვა, – განაცხადა ჯო კოულმა.

ჯო კოულისთვის ყველაზე წარმატებული პერიოდი ჩელსიში თამაშს უკავშირდება, სადაც მან სამჯერ შეძლო ინგლისის ჩემპიონატის მოგება.

კარიერაში კოულმა 716 შეხვედრა ჩაატარა და 104 გოლის გატანა შეძლო.

კონტეს ფეხბურთისგან დასვენება გადაწყვიტა

ანტონიო კონტეს იმ მიზეზებზე ისაუბრა, რის გამოც მან მადრიდის რეალს უარი უთხრა. კონტეს თქმით, ის ზაფხულამდე დასვენებას აპირებს და მხოლოდ შემდეგ იფიქრებს, თუ სად გააგრძელებს მუშაობას:

– ბოლო წლებში ფეხბურთში ბევრი ენერგია დავხარჯე და მინდა, რომ ცოტა ხნით დავისვენო და ოჯახს მეტი დრო დავუთმო. ზაფხულში სამუშაოს დავუბრუნდები, თუმცა ჯერჯერობით არ ვიცი, რომელ კლუბში. შესაძლოა, ეს იყოს რეალი ან სხვა გუნდი.

ვან დეიკი: „სიტი ამჟამად საუკეთესოა“

ლივერპულის ცენტრალურმა მცველმა ვირჯილ ვან დეიკმა განაცხადა, რომ მანჩესტერ სიტი ამჟამად ინგლისის საუკეთესო გუნდია, მაგრამ ლივერპული მასთან ახლოს არის.

ვან დეიკის აზრით, ლივერპულს შეუძლია პრემიერ ლიგის მოგება.

– ჩვენ ძლიერი გუნდი გვყავს, თუმცა მანჩესტერ სიტი ამ ეტაპზე ყველაზე მაღლა დგას. ზოგადად სეზონი გრძელია და, თუ ლივერპული მოწოდების სიმაღლეზე იქნება, შეგვიძლია, ინგლისის ჩემპიონატი მოვიგოთ, თუმცა ეს რთული იქნება, – განაცხადა ვან დეიკმა.

ამჟამად ლივერპული სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზეა.

დანი ალვეშს პრემიერ ლიგაში თამაში სურს

პსჟ-ს ბრაზილიელმა მცველმა დანი ალვეშმა განაცხადა, რომ პრემიერ ლიგაში სურს თამაში და ძალიან მოსწონს ინგლისურ ფეხბურთში არსებული თამაშის სტილი.

ალვეშის თქმით, პრემიერ ლიგაში ყოველთვის დინამიკური მატჩებია და ბურთი ცენტრში არასოდეს ჩერდება:

– ინგლისური ფეხბურთი ყოველთვის მომწონდა და ჩემი ოცნებაა, რომ ოდესმე პრემიერ ლიგაში ვითამაშო, თუმცა არ ვიცი, რამდენად რეალურია ეს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– თევზაობა კი მიყვარს, მაგრამ არ მეხერხება.

– მაგას რა მოხერხება უნდა? დაასხი – დალიე, დაასხი – დალიე.

– ჰო მაგრამ, მეშინია, რომ ქრონიკულ თევზაობაში არ გადამეზარდოს.

●●●

ახალი რუსი მღვდელს ეკითხება:

– მამაო, ეკლესიას ასი ათასი ევრო რომ შევწირო, იქ, ზევით, ცოდვების მიტევებაში დამეხმარება?

მცირე ფიქრის შემდეგ მღვდელი ეუბნება:

– გარანტიის მოცემა არ შემიძლია, მაგრამ ვფიქრობ, შეგიძლია სცადო!

●●●

ქალს ღამით, ჩაბნელებულ სადარბაზოში მამაკაცი დაესხმება თავს და ეუბნება:

– ფული, ჩქარა!

– სად არის?

– კიდევ წამოიკნავლებ და გაგაუპატიურებ!

– მიაუუუ...

●●●

ექთანი ექიმს მიმართავს:

– ექიმო, მესამე პალატაში ავადმყოფი ნახეთ თუ შეიძლება.

– უკვე ვნახე, არა უშავს, თითქოსდა სიმპათიურია!

●●●

ქალიშვილი დედას ურეკავს და ეუბნება:

– დედა, როგორ მოვიქცე?

– რა მოხდა, შვილო?

– ჩემი ქმარი ბავშვს თვითონ აბანავებს, ასეირნებს, ღამით არწევს, ჩემთან მხოლოდ ძუძუს საჭმელად მოჰყავს. ბავშვი უკვე ერთი თვისაა და წესიერად არც კი მინახია. რა მოვუხერხო ჩემ ქმარს?

– არ შეაშინო!

●●●

კაცი ქალს ეკითხება:

– რა გიყვარს?

– ღამის სამ საათზე სეირნობა, სახლში, სამზარეულომდე...

●●●

ცოლ-ქმარი ჩხუბობს. ბოლოს ქმარი ეკითხება:

– ცოლად სიყვარულით მაინც თუ გამომყევი?

– სხვაგვარად ჩემი გადაწყვეტილების ახსნას ვერ ვახერხებ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

TRADE MARK
安神補心丸
ANSHEN BUXIN WAN
300PILLS

ანშენი ბუსინ ვან

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა

TRADE MARK
XIAO HUO LUO DAN
香港中成藥注冊編號：HKP-01423
200PILLS

სიაო ჰუო ლუო დან

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

მაიკლ ჯექსონის ქურთუკი აუქციონზე გაიყიდა

ლეგენდარული ამერიკელი მომღერლის მაიკლ ჯექსონის ქურთუკი აუქციონზე 298 ათას დოლარად გაიყიდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მომღერალს აღნიშნული ქურთუკი 1987-1989 წლების თავისი პირველი საგასტროლო ტურნეს დროს ეცვა. მასზე ასევე არის მომღერლის ავტოგრაფი. ის თავდაპირველად 100 ათას დოლარად იყო შეფასებული.

პანდების ღამის ცხოვრება ვიდეოზე აღბეჭდეს

გარეული პანდების ღამის ცხოვრების გადაღება ვიდეოხაფანგის დახმარებით მოხერხდა, რომელიც ჩინეთის პროვინცია განსუს ნაკრძალში იყო დადგმული. ვიდეორგოლი ერთ-ერთმა ადგილობრივმა ტელეარხმა გამოაქვეყნა.

კადრებში ჩანს, თუ როგორ იფხანენ გვერდებს ცხოველები ხეებზე. ამასთან ორივე ერთიმეორის მიმართ ყურადღებას იჩენს. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ასეთი კადრების გადაღება დიდი წარმატებაა.

აღსანიშნავია, რომ ადრე ჩინეთის ხელისუფლებამ ტურისტებს ამ ცხოველებთან მიახლოვება, მათ შორის ფოტოსურათების გადასაღებად, აუკრძალა, ისევე, როგორც მათთვის საკვების მიცემა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ১



შვეულად: 1. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 2. ნიგერიის დედაქალაქი; 3. მდინარე, ხეობა აფხაზეთში; 5. ციხე-სიმაგრე მესხეთში; 6. ებრაელთა უბანი ძველ თბილისში; 9. ავადმყოფური შიში, გამოწვეული საკუთარ ჯანმრთელობაში დაეჭვებით; 10. ატმოსფერული წნევის საზომი ხელსაწყო; 11. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 14. საკვები პროდუქტების ზედაპირზე გაჩენილი სოკოვანი ქსელი; 16. მუსლიმთა ყოველდღიური ხუთჯერადი ლოცვა არაბულ ქვეყნებში; 18. მეტყველების ნაწილი გრამატიკაში.

თარაზულად: 1. ყოველდღიური გაზეთი საფრანგეთში; 4. მთიდან მოვარდნილი ნიაღვარი; 7. ხევისბერი ფშავ-ხევსურეთში; 8. ქართული ხალხური ცეკვა; 12. უკრაინული სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 13. მზის, ცეცხლის, ომის ღვთაება ფინიკიელთა მითოლოგიაში; 15. კინოფესტივალის სახელწოდება იტალიაში; 17. სახოტბო ლექსი; 19. პოლიციის ქვედანაყოფი საფრანგეთში; 20. ღვინის სასმისი; 21. ფულის ერთეული აზერბაიჯანში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა